

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

გიორგი რუსიაშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი

ავტორი: ლაშა აბუთიძე

თბილისი

2022

## სარჩევი

აბრევიატურები -----	გვ.6
შესავალი -----	გვ.7
1. ზიანის ანაზღაურების ცნება და ფუნქცია -----	გვ.9
2. ზიანის ანაზღაურების ფორმები -----	გვ.10
2.1. ნატურით რესტიტუცია -----	გვ.10
2.2. ფულადი ანაზღაურება ნატურით რესტიტუციის ნაცვლად -----	გვ.10
3. ზიანის სახეები -----	გვ.11
4 სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურება -----	გვ.11
4.1. სარჩოს მოთხოვნის უფლება სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანის შემთხვევაში -----	გვ.12
5. არამატერიალური (მორალური) ზიანი -----	გვ.13
6. მორალური ზიანის ნიშნები -----	გვ.14
6.1. ბრალი -----	გვ.15
6.2. მართლწინააღმდეგობა -----	გვ.15
6.3. მიზეზობრივი კავშირი -----	გვ.15
6.4. ზნეობრივი ტანჯვა (სულიერი ტკივილი) -----	გვ.16
7. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა და პასუხისმგებელი სუბიექტები -----	გვ.17
8. მორალური ზიანის ანაზღაურება და მისი მიზნები -----	გვ.17
8.1. ზიანის ანაზღაურების მიზნის ფუნქციები -----	გვ.18
8.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება -----	გვ.19
8.3. ფიზიკური და იურიდიული პირების გამიჯვნა მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხში -----	გვ.20
8.4. ინგლისური სამართლის განსხვავებული შეხედულება ფიზიკური და იურიდიული პირების გამიჯვნასთან დაკავშირებით -----	გვ.21

**9. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა და**

**მისი კრიტერიუმები -----გვ.21**

9.1. ფსიქიკური ზიანი, სულიერი ტკივილი -----გვ.22

9.2. სამართალდამრღვევის ბრალეულობა -----გვ.23

9.3. ზიანის მიმყენებლის გადახდისუნარიანობა -----გვ.23

9.4. „მოგება“ -----გვ.25

9.5. სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებსაც ყურადღება უნდა

მიექცეს მოცულობის განსაზღვრისას -----გვ.25

9.6. შეჯამება -----გვ.26

**10. ხანდაზმულობის ვადა მორალური ზიანის ანაზღაურების**

**მოთხოვნის შემთხვევაში -----გვ.26**

**11. მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის კომპენსაციის ოდენობის**

**განსაზღვრის კრიტერიუმები ჯანმრთელობისათვის**

**ზიანის მიყენების შემთხვევაში -----გვ.28**

**12. მორალური ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის**

**უგონო მდგომარეობაში ყოფნისას -----გვ.31**

**13. მორალური ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის**

**გარდაცვალების შემთხვევაში -----გვ.32**

13.1. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური

ზიანის ანაზღაურების შესახებ, დაზარალებულის

გარდაცვალების შემთხვევაში -----გვ.33

13.2. საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლოების განმარტება

მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაზარალებულის

გარდაცვალების შემთხვევაში -----გვ.34

13.3. ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა მორალური ზიანის ანაზღაურების

შესახებ, დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში -----გვ.35

**14. სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული მორალური**

**ზიანის ანაზღაურება გერმანიაში -----გვ.36**

14.1. კანონმდებლობა -----	გვ.36
14.2. სასამართლოების მიერ მიღებული პრაქტიკა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებების მისაღებად -----	გვ.36
14.3. გერმანული სასამართლოების მიერ განსაზღვრული თანხები სხეულის ან/და ჯანმრთელობის დაზიანებების მიხედვით -----	გვ.37
14.4. გარემოებები, რომლებზედაც გერმანული სასამართლოები ამახვილებენ ყურადღებას სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობის დადგენისას -----	გვ.38
<b>15. სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ევროპის სხვა ქვეყნებში -----</b>	<b>გვ.40</b>
15.1. ფრანგული სამართლის თავისებურებები მორალური ზიანის ანაზღაურების დროს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში -----	გვ.41
15.2. ინგლისური სამართლის კანონმდებლობის განსხვავებული ასპექტები და სასამართლოს მიერ მიღებული პრაქტიკა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში -----	გვ.42
15.3. რუმინეთში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები სხეულისა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ტიპის დაზიანებასთან დაკავშირებით განსაზღვრული კომპენსაციების ოდენობების შესახებ -----	გვ.43
15.4. ნორვეგიაში მიღებული პრაქტიკა ასანაზღაურებელი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით -----	გვ.43
15.5. კანადაში მორალური ზიანის ასანაზღაურებელი საკომპენსაციო მაქსიმალური თანხის ზედა ზღვარი ჯანმრთელობისა და სხეულის დაზიანების შემთხვევაში -----	გვ.44
15.6. სავალდებულო კომპენსაციის სისტემა ესპანეთში -----	გვ.44
15.7. კანონის ცვლილება ირლანდიაში სარჩოს მოთხოვნის უფლების შესახებ -----	გვ.45

15.8. შვედეთის სრულიად განსხვავებული მიდგომა სხეულის და ჯანმრთელობისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხში -----	გვ.45
<b>16. ნაშრომის დასაწყისში მოცემული პრობლემის პარალელები</b>	
გერმანულ სასამართლო პრაქტიკასთან -----	გვ.46
16.1. მაგალითები გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან -----	გვ.46
16.2. საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილების შედარება გერმანიის სასამართლო გადაწყვეტილებასთან და მათი შესაბამისობა -----	გვ.48
16.3. საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, ნაშრომში განხილული კომპენსაციის გამოთვლის მეთოდების მიხედვით -----	გვ.49
16.4. საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილების შედარება გერმანიის სასამართლო გადაწყვეტილებასთან და მათი ერთმანეთთან შეუსაბამობა -----	გვ.51
<b>დასკვნა -----</b>	<b>გვ.52</b>
<b>ბიბლიოგრაფია -----</b>	<b>გვ.54</b>

## აბრევიატურები

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

ტ. - ტომი

ჟურნ. - ჟურნალი

რედ. - რედაქტორი

მაგ. - მაგალითად

ა.შ. - ასე შემდეგ

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

U.K. – United Kingdom

Vol. - Volume

UNAIDS – Joint United Nations Programme on HIV/AIDS

HIV – Human Immunodeficiency Virus

AIDS – Acquired Immunodeficiency Syndrome

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საკითხი სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული მატერიალური და არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურებისა და მისი ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმების შესახებ. ეს საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია და ამასთან პრობლემატური, საქართველოს სამოქალაქო სამართალში. ამ საკითხის პრობლემატიკა მდგომარეობს ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაში.

ქართულ სამართალში ზიანის ანაზღაურების ცნება მომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 415-ე და მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნორმისაგან. აღნიშნული საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. 408-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით - ნატურით რესტიტუცია. დაზარალებულს უფლება აქვს ნატურით რესტიტუციის ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ფულადი ანაზღაურება, რაც ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივად ერთადერთი გზაა. არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება ხდება თანხით – ფულადი კომპენსაციით. იგი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან ერთად, ან მის გარეშე. პირმა, რომელსაც მიაღდა მორალური ზიანი, უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს მისი ანაზღაურება. იგი უფლებამოსილია თავად, მისი სურვილისამებრ განსაზღვროს საკომპენსაციო თანხის ოდენობა, თუმცა სასამართლომ უნდა მიიღოს ობიექტური, გონივრული და სამართლიანი გადაწყვეტილება, გამოიყენოს რა, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის დადგენილი კრიტერიუმები და ზუსტად განსაზღვროს მისი ოდენობა. აქ კი ვაწყდებით პრობლემატიკას ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, რადგან სასამართლოს პრაქტიკა ზოგ შემთხვევაში ერთმანეთისგან სრულად განსხვავებულია. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანო ორ მაგალითს ქართული სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებიც მეტნაკლებად შინაარსით ჰგვანან ერთმანეთს, კერძოდ – ორივე შემთხვევაში ზიანი მიაღდა პირის სხეულს ან/და ჯანმრთელობას და აქედან გამომდინარე მოთხოვნილი იქნა როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურება. ორივე შემთხვევაში მოპასუხე სამედიცინო დაწესებულება – კლინიკაა.

პირველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოითხოვა არასწორი მკურნალობით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. კერძოდ მოითხოვა, მატერიალური ზიანის – 10 000 ლარის, ხოლო მორალური ზიანის – 20 000 ლარის ანაზღაურება. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, რომ მოსარჩელეს დაესვა არასწორი დიაგნოზი და შესაბამისად მკურნალობაც არასწორად წარიმართა. მოსარჩელემ ზედა ყბაზე დაკარგა 3 კბილი. სასამართლომ

დადგენილად მიიჩნია ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა იყო 2 000 ლარი. შესაბამისად სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა მატერიალური ზიანის – 3 000 ლარის და მორალური ზიანის – 2 000 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიტანა სააპელაციო სასამართლომ, ხოლო საკასაციომ იგი ძალაში დატოვა.<sup>1</sup>

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, მოსარჩელემ მოითხოვა მორალური და მატერიალური ზიანის 200 000 ლარის ოდენობის ანაზღაურების შესახებ. როგორც სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, მოსარჩელეს საკეისრო კვეთის შედეგად შეემინა ვაჟი. ოპერაციისას დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის გამო მოსარჩელეს დასჭირდა სისხლის გადასხმა. მისმა ნათესავებმა 600 გრამი ერთორციტული მასა და კრიოპლაზმა (სისხლი) შეიძინეს მოპასუხისგან, რაც გადაესხა მოსარჩელეს. დადგინდა, რომ მოსარჩელე და მისი ვაჟი დაავადებულნი არიან „აივ“ ვირუსით, რომელიც ზემოთ აღნიშნული სისხლის გადასხმის შედეგად დაინფიცირდნენ. ბავშვს ვირუსი დედის რძესთან ერთად გადაეცა. დადგინდა, რომ დონორი ასევე ინფიცირებული იყო „აივ“ ვირუსით. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული დონორის სისხლი გადაესხა 19 პირს, 10 მათგანის ვინაობა დადგინდა, რომელთაგან 4 გარდაცვლილია, ხოლო 5 ინფიცირებულია შიდსის ვირუსით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის გადახდა. ამ ოდენობაში შედის როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური (მორალური) ზიანი. აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციო სასამართლოში, ხოლო შემდეგ საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრა მოპასუხე მხარემ, თუმცა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.<sup>2</sup>

ამ ორი გადაწყვეტილების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ერთ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს არანაირი საფრთხე არ დამუქრებია, მისი მატერიალური ზიანის ანაზღაურება თითქმის სრულად მოიცავდა ზიანს. სასამართლომ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრულ თანხად ჩათვალა 2 000 ლარი. ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც ადამიანს შეეყარა განუკურნებელი „აივ“ ინფექცია, რომელიც სხვა უამრავ (სიმსივნურ) დაავადებასთან ერთად იწვევს ადამიანის სიკვდილს. ამ დაავადების მნიშვნელობაზე და მის მიერ გამოწვეული ზიანის დიდ საშიშროებაზე

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის N ას-714-677-2013 გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის N 296-624-07 გადაწყვეტილება.



მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლი, რომელიც სწორედ შიდასის შეყრას ეხება და ასეთი ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ როგორც მატერიალური, ისე მორალური ანაზღაურების გონივრულ თანხად მიიჩნია 20 000 ლარი. საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე როდესაც მოთხოვილია მატერიალური და მორალური ზიანი ერთად, მატერიალური ზიანი ყოველთვის მეტი თანხით განისაზღვრება, ვიდრე მორალური ზიანი. შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მორალური ზიანის მაქსიმალური თანხა შესაძლოა შეადგენდეს 8 000 ლარს. ესეც იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაინფიცირდა როგორც თავად მოსარჩელე, ისე მისი ახალდაბადებული ვაჟი, შესაბამისად თითოეული ადამიანისთვის მორალურ ზიანად სასამართლო მიიჩნევს 4 000 ლარის ოდენობას. აღნიშნული გადაწყვეტილება აშკარად შეუსაბამოა როგორც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესთან მიმართებით, ისე – სხვა ანალოგიურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მიმართებით.

ამ ორი გადაწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ზედაპირული ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში შესაძლოა არსებობდეს პრობლემები ზიანის ანაზღაურების ზუსტი ოდენობის განსაზღვრის მიმართულებით, უფრო მეტად პრობლემატურად იკვეთება საკითხი მორალური ზიანის ანაზღაურების კუთხით. მატერიალური და არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურებისა და მისი ოდენობების განსაზღვრა ხდება სპეციალური კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც მკაფიოდ არის ნაშრომში წარმოჩენილი.

## 1. ზიანის ანაზღაურების ცნება და მისი ფუნქცია

სამოქალაქო სამართალში „ზიანი“ არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება, ინტერესების ხელყოფა.<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-415-ე მუხლები არეგულირებენ ზიანის ანაზღაურების წესს. ზიანის ანაზღაურების მთავარი მიზანი არის მიყენებული დანაკლისის გამოსწორება და პრევენცია, რათა პირს საერთოდ ააღებინოს ხელი სხვისთვის ზიანის მიყენებაზე. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს პასუხისმგებელი პირის

---

<sup>3</sup> ნინო ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2011 წ. გვ. 155.

ვალდებულებას აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა ამ პირის მიერ ვალდებულების ჯეროვნად/კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში.<sup>4</sup>

## 2. ზიანის ანაზღაურების ფორმები

### 2.1. ნატურით რესტიტუცია

ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი ფორმაა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (ნატურით რესტიტუცია). იგი გულისხმობს რომ პირმა, რომელმაც გამოიწვია ზიანი, უნდა აღადგინოს ის თავდაპირველი მდგომარეობა, რომელიც ზიანის გამოძწვევი მოვლენის გარეშე იარსებებდა. ნატურით რესტიტუციის მიზანს წარმოადგენს დაზარალებულის ე.წ. შენარჩუნების ინტერესის დაცვა. ნატურით რესტიტუციის შემთხვევაში შესაძლოა იგი არასაკმარისი იყოს ზიანის კომპენსაციისთვის, ამ შემთხვევაში დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებით ფულადი კომპენსაცია. ხოლო თუ ნატურით რესტიტუცია პირიქით, ზიანის კომპენსაციას აღემატება, ამ შემთხვევაში დაზარალებულია ვალდებული დაუბრუნოს ქონებრივი ნამატი.<sup>5</sup>

### 2.2. ფულადი ანაზღაურება ნატურით რესტიტუციის ნაცვლად

ზიანის ასანაზღაურებლად ნატურით რესტიტუციის ფორმა ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია, ასეთ დროს ხდება ზიანის ფულადი სახით ანაზღაურება. პირს, რომელსაც მიადგა ზიანი, აქვს უფლება მოითხოვოს ამ ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთი. დავის შემთხვევაში კი საბოლოო ჯამში სასამართლო განსაზღვრავს უნდა მოხდეს ნატურით რესტიტუცია თუ ფულადი ანაზღაურება. პრიორიტეტი ენიჭება ნატურით რესტიტუციას.<sup>6</sup> თუმცა ამისგან განსხვავებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში არსებული დათქმა, რომლის მიხედვითაც - „თუ ანაზღაურებას ექვემდებარება პირის ან ნივთის მიმართ მიყენებული ზიანი, მაშინ კრედიტორს შეუძლია თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად, მოითხოვოს ფულადი თანხის გადახდა“. აღნიშნული დათქმა ემსახურება

<sup>4</sup> ბ.ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001წ, 452.

<sup>5</sup> გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 408, ველი 16-17.

<sup>6</sup> ბ.ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001წ, 452-455.

დაზარალებულის ინტერესებს, ვინაიდან იგი არ უნდა დაავალდებულოს კანონმა მიანდოს მისი ქონება იმ პირს, რომელმაც ეს ქონება ერთხელ უკვე დააზიანა.<sup>7</sup>

### 3. ზიანის სახეები

არსებობს ორი სახის ზიანი: მატერიალური (ქონებრივი) და არამატერიალური (არაქონებრივი). მატერიალური (ქონებრივი) ზიანის ობიექტი არის ის მატერიალური (ქონებრივი) სიკეთე, რომელსაც მიადგა ზიანი პირის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი/არაკეთილსინდისიერი შესრულებისას. ქონებრივი ზიანის იდენტიფიკაცია და მისი გამოთვლა გაცილებით მარტივია, ვიდრე არაქონებრივის, ვინაიდან ამ შემთხვევაში თვითონ მატერიალური ქონება არის შეფასების საზომი.<sup>8</sup> ამისგან განსხვავებით, ბევრად რთულად არის საქმე არამატერიალური (არაქონებრივი) ზიანის იდენტიფიკაციასა და გამოთვლის საკითხში. ამიტომაც მართებულად მიმაჩნია არამატერიალური (მორალური) ზიანის სიღრმისეულად გარჩევა, რომელსაც ქვევით მივუბრუნდები.

### 4. სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება წარმოადგენს ადამიანის აბსოლუტურ უფლებას, ამიტომაც უფლებათა იერარქიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აქედან გამომდინარე ხაზგასმით არის ნახსენები სსკ-ს 408-ე მუხლში ის ფაქტი, რომ სხეულისა და ჯანმრთელობისადმი ვნების მიყენების შემთხვევაში, ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით. სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ფორმის განსაზღვრა ბევრად მარტივია, კერძოდ - გამოიყენება მხოლოდ ფულადი ანაზღაურება ნატურით რესტიტუციის ნაცვლად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამზიანებელი შესაბამისი პროფილის ექიმია, მან არ უნდა ჩაუტაროს დაზარალებულს სამედიცინო დახმარება, არამედ უნდა აუნაზღაუროს ის დანახარჯები, რაც საჭირო იქნება მისი სრული რეაბილიტაციისათვის.<sup>9</sup>

<sup>7</sup> გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 408, ველი 20

<sup>8</sup> ბ.ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001წ, 469.

<sup>9</sup> გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 408, ველი 20

ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულმა უნდა დაასაბუთოს გონივრული საჭიროება კონკრეტული ხარჯებისა, რის ანაზღაურებასაც იგი მოითხოვს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ კონკრეტული ტიპის მკურნალობა ან თერაპია მისი დაზიანებიდან გამომდინარე მისთვის შესაძლოა იყოს სასურველი, არ არის საკმარისი იმისათვის რომ გონივრულ აუცილებლობად იქნეს ჩათვლილი. მან უნდა დაასაბუთოს მკურნალობის/თერაპიის საჭიროება და უზრუნველყოს მისი ჩატარება მას შემდეგ რაც აუნაზღაურდება ღირებულება.<sup>10</sup>

#### 4.1. სარჩოს მოთხოვნის უფლება სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანის შემთხვევაში

სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებამ შესაძლოა გამოიწვიოს დაზარალებული პირის შრომის უნარის სრულად ან ნაწილობრივ წართმევა, რასაც ასევე არეგულირებს სსკ-ს 408-ე მუხლი, ასეთ შემთხვევაში ზიანი ანაზღაურდება ყოველთვიური სარჩოს გადახდის ფორმით. შრომის უნარის სრულად წართმევის შემთხვევაში დასადგენია ის ფაქტი, დაზარალებულმა პროფესიული შრომის უნარი დაკარგა თუ საერთო შრომის უნარიც.<sup>11</sup> შრომის უნარის შემცირება ან დაკარგვა განისაზღვრება მხოლოდ კონკრეტულ ჭრილში - რეალური შემოსავლის დაკარგვის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შემოსავლის მომტანი კონკრეტული საქმიანობა, უნდა განისაზღვროს დაზიანების გარეშე პირის სავარაუდო სამუშაო და ამის მიხედვით დადგინდეს სარჩოს ოდენობა. ანაზღაურებას ასევე ექვემდებარება საოჯახო საქმიანობით პირის შრომისუნარიანობის შეზღუდვა. სარჩოს გადახდის სახით ანაზღაურებას ასევე ექვემდებარება დაზარალებული პირის მოთხოვნილებების გაზრდა, რაც იწვევს ხანგრძლივ და რეგულარულ დანახარჯებს.<sup>12</sup> სარჩოს გადასახადის დანიშვნისას გასათვალისწინებელია დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფი პირებიც. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ზუსტად შეფასდეს თუ როდემდე იქნება მარჩენალი ვალდებული, არჩინოს მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო შემთხვევა. ზიანის მიმყენებელმა სარჩოს მიცემის ვალდებულება იქამდე უნდა შეასრულოს, ვიდრე დაზარალებული იქნებოდა ვალდებული ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები.<sup>13</sup>

<sup>10</sup> Basil Markesinis, Michael Coester, Guido Alpa and Augustus Ullstein, Compensation for Personal injury in English, German and Italian Law: A comparative Outline, Cambridge U.K. University press, 2005, p 127.

<sup>11</sup> ბ.ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001წ, გვ. 454.

<sup>12</sup> გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 8.10.2015, მუხ. 408, ველი 30.

<sup>13</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის Nას-789-746-2015 გადაწყვეტილება.

## 5. არამატერიალური (მორალური) ზიანი

ტერმინი „მორალური ზიანი“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „მორალი“, რაც ნიშნავს ქცევის ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას. მორალი ლათინური სიტყვაა და იგივეა რაც ზნეობა, ხოლო ზნეობა არის იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას საზოგადოებაში. ტერმინი „მორალური ზიანი“ ასოცირდება მორალთან, მორალური ზიანის არსის გაანალიზებისათვის მნიშვნელოვანია მისი ეტიმოლოგიის განსაზღვრა. არაქონებრივი და მორალური ზიანი ეტიმოლოგიურად იდენტურია, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო გამოხატავს შინაარსობრივ დატვირთვას.<sup>14</sup> ეს ტერმინი ზუსტად და სრულიად არ ასახავს აღნიშნული ინსტიტუტის შინაარსს, თუმცა ეს ტერმინი დიდი ხანია საზოგადოებაში დამკვიდრებულია და საკმაოდ ახლოსაა ამ ინსტიტუტის შინაარსთან. აღნიშნული ინსტიტუტის შედარებით სრულად გამოსახატავად შესაძლებელია გამოვიყენოთ ტერმინი „არაქონებრივი, არამატერიალური ზიანი“, თუმცა ეს ორი ტერმინიც კი არ მოიცავს სრულად იმ დანაკარგებს, რასაც პიროვნება განიცდის სამართალდარღვევის შემთხვევაში. ეს დანაკარგები შეიძლება გამოიხატებოდეს არამხოლოდ ფიზიკურ, ფსიქიკურ, ან ზნეობრივ ტანჯვაში, არამედ იგი შეიძლება იწვევდეს პირის სოციალური თვისებების დაკარგვას. უცხოეთის კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა და მეცნიერება თანხმდება იმაზე, რომ აღნიშნული ინსტიტუტს, აღნიშნულ ზიანს ტერმინი „ტანჯვა“ შედარებით ზუსტად გამოხატავს. ტანჯვა შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური. ფიზიკური ტანჯვა გამოიხატება ტკივილით, გულის წასვლით, გულის რევით. ხოლო ფსიქიკური ტანჯვა – ძლიერი შიშით, სირცხვილით, მწუხარებით ან სხვა უარყოფითი შეგრძნებებით.<sup>15</sup> ფსიქიკური ტანჯვა ისეთივე რეალური ფაქტია, როგორც ფიზიკური ტანჯვა და მგრძობიარეა იმავე სტანდარტების მიხედვით. გონებისა და სხეულის ურთიერთდამოკიდებულებამ, რომელიც ახლა საყოველთაოდ არის აღიარებული, შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური შოკი, ეს უკანასკნელი კი იწვევს ფიზიკურ დარღვევებს.<sup>16</sup>

არაქონებრივ (მორალური) ზიანის ანაზღაურებას საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია გააჩნია. იგი ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეში გვხვდება. პირველი დაწერილი რომაული სამართლის ძეგლი იყო ე.წ. „თორმეტი ტაბულის კანონი“, რომელიც რომის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ ჩამოყალიბდა.

<sup>14</sup> მაისურაძე მ., ჩოგაძე გ., სახელმეკრულებო ურთიერთობები და მორალური ზიანი, წიგნში: რთული შემთხვევები, ტ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018 წ. გვ.102-103.

<sup>15</sup> ლ. დოლონაძე, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი თეუსუ 2 (10), მთავარი რედ. ა. ჩუთლაშვილი, თბილისი, 2010, 140.

<sup>16</sup> Edwin B. Parker Umpire, Reports of International Arbitral Awards, United Nations Copyright , 2006, p.36.

აღნიშნულ კანონში მერვე ტაბულა ეხებოდა ისეთ დანაშაულებს, როგორცაა პირადი შეურაცხყოფა.<sup>17</sup> აღნიშნული შეურაცხყოფა ისჯებოდა ჯარიმით, რომელსაც თავად განსაზღვრავდა დაზარალებული. ჯარიმის დაკისრებასა და თანხის ოდენობაზე გადაწყვეტილებას იღებდა მოსამართლე. ასევე, ჰამურაბის კანონების მიხედვით მოქალაქე თუ სხვა თანაბარუფლებიან მოქალაქეს სილას გააწნიდა, მას უნდა გადაეხადა 500 გრამი ვერცხლი. ეს საფუძვლიან მტკიცებულებას გვაძლევს იმისა, რომ მორალური ნორმების დაცვას საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე დიდი ყურადღება ექცეოდა.<sup>18</sup>

ქართულ სამართალში მორალური ზიანის ცნების ზოგადი დეფინიცია გამომდინარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) მე-18 მუხლში. მორალური ზიანის ქვეშ მოიაზრება ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების გამოწვევა, რომელიც შეიძლება იყოს სულიერი, ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა.<sup>19</sup>

## 6. მორალური ზიანის ნიშნები

იმისათვის, რომ მორალური ზიანის არსებობა იყოს სახეზე, აუცილებელია მისი დამახასიათებელი თითოეული ნიშნის არსებობა, რომლებიც განასხვავებს არაქონებრივ, არამატერიალურ (მორალურ) ზიანს, სხვა სახის ზიანისაგან. კანონით პირდაპირ არის დადგენილი თუ კონკრეტულად რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად კანონის მიზანია შეამციროს და შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.<sup>20</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობებია - ვალდებულების დარღვევა კონკრეტული პირის (მოპასუხის) მიერ, ზიანი, და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.<sup>21</sup>

<sup>17</sup> გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009, 16.

<sup>18</sup> გიორგი გ. თუმანიშვილი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012 წ. გვ. 65-66.

<sup>19</sup> ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 87.

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის Nას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება.

<sup>21</sup> ნინო ბერიძე, შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2020, გვ.64.

## 6.1. ბრალი

ბრალი არის პირის მიერ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა სხვა პირისათვის უარყოფითი შედეგის დადგომის გაცნობიერებით და სურვილით, ან მის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინებისა და წინდახედულების დაუცველად.<sup>22</sup> ბრალი ასევე არის პირის დამოკიდებულება მისი კონკრეტული ქმედებისა და შედეგებისადმი. ბრალი გულისხმობს მართლწინააღმდეგობის არსებობას და შესაბამისად თუ ბრალის დადგენისათვის არ იქნება სახეზე შესაბამისი მტკიცებულებები, ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება.

## 6.2. მართლწინააღმდეგობა

იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების არსებობა, ბრალთან ერთად აუცილებელია მართლწინააღმდეგობის არსებობა. იურიდიული თვალსაზრისით, ქმედება შეიძლება იყოს როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა.<sup>23</sup> ქმედება მაშინაა მართლსაწინააღმდეგო, როცა ერთი მხრივ, პირი ხელყოფს სხვა პირის უფლებებს და არ აქვს ამისი უფლება, მეორე მხრივ კი, არღვევს სამართლის ნორმებს.<sup>24</sup> მართლწინააღმდეგობის არსებობისათვის აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება და დამდგარი შედეგი. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას, აცნობიერებდა თუ არა იგი თავის ქმედების მართლსაწინააღმდეგობას.

## 6.3. მიზეზობრივი კავშირი

სამართალდარღვევის ერთ–ერთ ელემენტს წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირი, რომელიც უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. იმ შემთხვევაში, თუ არ არის საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც

---

<sup>22</sup> ქეთევან ქოჩაშვილი, სამართლის ჟურნალი N1, 2009 წ. გვ. 89.

<sup>23</sup> ნათია ტარტარაშვილი, სხულისა და ჯანმრთელობის ხელყოფისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, სამართალი და მსოფლიო, N13, 2019 წ. გვ. 115.

<sup>24</sup> მიხეილ ბიჭია, სამეცნიერო ჟურნ. სპექტრი, თბილისი, 2017 წ. გვ. 56

ადასტურებენ კავშირს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, საკითხი მოპასუხის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.<sup>25</sup>

აქვე აღსანიშნავია ის ცვლილება, რომელიც მოხდა გერმანულ კანონმდებლობაში დაზარალებულის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ფარმაცევტული კომპანიაა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა რთული და ხშირ შემთხვევაში - შეუძლებელიც კი იყო. გერმანიაში შემოიღეს მიზეზობრივი კავშირის დადგენის შეზღუდული პრეზუმპციის მსგავსი მოდელირება. კერძოდ, თუ დაზარალებულს ზიანი მიადგა ფარმაცევტული საშუალებების მოხმარების შედეგად და მიზანშეწონილად არის მიჩნეული ფარმაცევტული საშუალების მიერ ამგვარი ზიანის მიყენების ალბათობა, დაზარალებულს აღარ აქვს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მტკიცების ტვირთი.<sup>26</sup>

#### 6.4. ზნეობრივი ტანჯვა (სულიერი ტკივილი)

მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს სულიერი ტკივილი, ზნეობრივი ტანჯვა, სულიერი განცდები, ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია მოქმედებით ან უმოქმედობით, რომელიც ხელყოფს პირის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს.<sup>27</sup> ზნეობრივი ტანჯვა გამოიხატება ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევაში, როგორც შეიძლება იყოს: ძლიერი შიში, ნეგატიური ემოციები, მწუხარება და სხვა. თითოეული ადამიანისთვის ზნეობრივ ტანჯვას თავისი საზომი ერთეული აქვს, ამიტომაც უშუალოდ დაზარალებული სუბიექტის ყოფიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს და ობიექტური ფორმით განისაზღვროს მისი მდგომარეობა შეესაბამება თუ არა ზნეობრივ ტანჯვას.<sup>28</sup>

---

<sup>25</sup> ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 92.

<sup>26</sup> InDret, The Reform of German Tort Law, Ulrich Magnus, April 2003, p. 7.

<sup>27</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის N3ბ/2146-19 გადაწყვეტილება.

<sup>28</sup> ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 93.



## 7. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და პასუხისმგებელი სუბიექტები

მორალური ზიანის მიყენებისათვის პირს ეკისრება ზიანის ანაზღაურება სსკ-ის მე-18 და 413-ე მუხლების საფუძველზე, თუმცა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ნორმები არ განაპირობებს მორალური ზიანის ანაზღაურებას, იგი გამომდინარეობს სხვა კანონებიდანაც. მაგ.: „რეკლამების შესახებ“, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონები და სხვა.<sup>29</sup> აღნიშნული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნება პირს, რომლის მიმართაც განხორციელდა ზემოთ ხსენებული ნიშნების მქონე ქმედება. ანაზღაურება დაზარალებულმა პირმა უნდა მოითხოვოს სასამართლოს გზით – მან სარჩელი უნდა შეიტანოს სასამართლოში და შეუძლია თავად განსაზღვროს როგორც პასუხისმგებლობის სუბიექტი, ანუ მოპასუხე, ისე – ასანაზღაურებელი თანხა. რაც შეეხება მოპასუხეს, იგი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული, ან თუნდაც თანამდებობის პირი. თუ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელია, ასეთ შემთხვევაში მოსარჩელემ საქმის განხილვისათვის უნდა მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. დანარჩენ შემთხვევებში – სამოქალაქო საქმეთა პალატას. ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანის პასუხისმგებელი სუბიექტი არის სამედიცინო დაწესებულება (კლინიკა). ეს რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობის დაზიანება მოხდება კლინიკის ექიმის მიერ მკურნალობის დროს.<sup>30</sup> ხოლო ჟურნალისტის მიერ ცილისწამების საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებელი სუბიექტი შეიძლება იყოს მედიის მესაკუთრე, რაც გამომდინარეობს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტიდან.<sup>31</sup>

## 8. მორალური ზიანის ანაზღაურება და მისი მიზნები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მოსარჩელეს თავად შეუძლია განსაზღვროს ზიანის ოდენობა მაგრამ ეს მხოლოდ მისი მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, „მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია უნდა განხორციელდეს

<sup>29</sup> ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 94.

<sup>30</sup> ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 96.

<sup>31</sup> ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 98.

გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.“ მორალური ზიანის ანაზღაურება უნდა იყოს ფულადი სახის, მართალია სამართლებრივად დაცულ ინტერესს ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია, მაგრამ ფულადი სახით ზიანის ანაზღაურებას შეუძლია სულიერი ან ხორციელი ტკივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლა. ევროპული სასამართლოს დირექტივებში ასევე ნათქვამია, რომ სამართლიანმა კმაყოფილებამ შეიძლება „უზრუნველყოს არამატერიალური ზიანის ფინანსური ანაზღაურება“.<sup>32</sup>

### 8.1. ზიანის ანაზღაურების მიზნის ფუნქციები

ისტორიულად მორალური ზიანის ანაზღაურების მთავარი მიზანი იყო ეკონომიკური სანქციების საჯარიმო ეფექტი ზიანის მიმყენებელზე. ბოლო პერიოდში კი უზენაესმა სასამართლოებმა აქცენტი გადაიტანეს დაზარალებულის სულიერ მდგომარეობაზე და მის განცდებზე.<sup>33</sup> ფულადი კომპენსაცია უზრუნველყოფს სულიერ გაწონასწორებას და სოციალურ ცხოვრებაში სრულფასოვან ჩართვას. სწორედ ეს გახლავთ ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი ზიანის ანაზღაურების. ზოგადად კი, გამოიყოფა აღნიშნული მიზნის სამი ფუნქცია, რომელთა ერთობლიობაც არის მორალური ზიანის ანაზღაურების ერთიანი მიზანი, რაც ასახვას ჰპოვებს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში.<sup>34</sup> ეს ფუნქციებია: სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული. თითოეული რომ განვმარტოთ, ეს გახლავთ პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული, რაზედაც ზევით ვისაუბრეთ. მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე, ანუ დააფიქროს პასუხისმგებლობის სუბიექტი მის ქმედებაზე და ამასთან ერთად დაისაჯოს – გაიღოს თანხა ჩადენილი ქმედებისათვის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე პასუხისმგებელმა. მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ.<sup>35</sup> სსკ–ის 413–ე მუხლის 1–ლი ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებას, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება პირს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გააჩნია. მაგალითად, მხოლოდ იმიტომ რომ მოპასუხემ ვალდებულება დაარღვია, მოსარჩელემ არ შეიძლება მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად უნდა იქნეს წარმოჩენილი და დადასტურებული პასუხისმგებელი სუბიექტის მხრიდან მისი ბრალეულობა. ასევე მისი ქმედება უნდა

<sup>32</sup> Szilvia Altwicker-Hamori/Tilmann Altwicker/Anne Peters, Measuring Violations of Human Rights, 7.

<sup>33</sup> Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective, 2015, p. 123.

<sup>34</sup> ოთარ მაჭარაშვილი, საერთაშორისო სამართალი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, 2000წ. გვ. 19

<sup>35</sup> ს. ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999, 74.

იყოს მართლსაწინააღმდეგო, თუ ქმედება ჯდება სამართლის ნორმებში, შეუძლებელია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ქმედების განმხორციელებელი პირისაგან.<sup>36</sup>

## 8.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება

აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომელიც ეხება პატივისა და ღირსების შელახვას, როგორც მორალური ზიანის მიყენებას. მისი განმარტებით პიროვნების პატივის ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების საზოგადოებრივი შეფასება. პატივი პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ. ღირსება გულისხმობს პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებას. ხოლო პატივისა და ღირსების შელახვა გულისხმობს ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელებას, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.<sup>37</sup>

„საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ღვარძლიან კრიტიკაში, რომელიც სცილდება საქმიანი კრიტიკის ფარგლებს და მიზნად ისახავს ადრესატის ღირსების შელახვას. პატივისა და ღირსების შელახვას ასევე ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მესამე მხარისადმი მიმართვისას ერთი ადამიანი მეორის ღირსებას, რეპუტაციას ან მდოგმარეობას მოიხსენიებს იმგვარი ფორმით, რომ ამცირებს პირს მოქალაქეთა თვალში, იწვევს სიძულვილს ან ზიზღს. ამდენად, პირს დაცვის უფლება ენიჭება მაშინ, როდესაც დისკრედიტირებულია მისი საზოგადოებრივი რეპუტაცია. მართალია, კრიტიკის ფარგლები პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო მოხელეების მიმართ უფრო ფართოა ვიდრე კერძო ფიზიკური პირების მიმართ, მაგრამ კრიტიკამ არ უნდა გადალახოს საზღვარი, რომელიც დადგენილია სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად.“<sup>38</sup>

ამ გადაწყვეტილებაშივე მოყვანილია ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ამონარიდები, რომლებიც განმარტა საკასაციო პალატამ და რომლებზე დაყრდნობითაც მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება: „გადაწყვეტილებაში

<sup>36</sup> ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 100.

<sup>37</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის N ას-1174-1319-08 გადაწყვეტილება.

<sup>38</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 25 ივნისის N 3კ-337-02 გადაწყვეტილება.

„კასტელის ესპანეთის წინააღმდეგ“ აღნიშნულია, რომ მართალია, დასაშვები კრიტიკის ფარგლები მთავრობის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ, მაგრამ პოლიტიკური დისკუსიის ფარგლები არ არის აბსოლუტური, ხოლო გადაწყვეტილებაში „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ მითითებულია, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუკი ინფორმაცია შეეხება პოლიტიკურ შეხედულებებს და ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს პირის პატივსა და ღირსებას.“ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კრიტიკის ფარგლების დარღვევა მიიჩნია არაქონებრივი უფლებების დარღვევად და დამრღვევ პირს დააკისრა მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

### **8.3. ფიზიკური და იურიდიული პირების გამიჯვნა მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხში**

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხში გამიჯვნა ფიზიკური და იურიდიული პირები. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლი იცავს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების უფლებებს. კერძოდ, სსკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით იურიდიული პირის პატივის, ღირსების, ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლით დადგენილი წესები. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია ამ მუხლით დაცული ისეთი სიკეთეები, როგორებიცაა პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება. სასამართლოს განმარტებით, იურიდიულ პირს არ შეიძლება მიადგეს მორალური ზიანი, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. მაგალითად სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა. აქედან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოა.<sup>39</sup>

<sup>39</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 26 დეკემბრის N 3კ-924-01 გადაწყვეტილება.

#### 8.4. ინგლისური სამართლის განსხვავებული შეხედულება ფიზიკური და იურიდიული პირების გამიჯვნასთან დაკავშირებით

ამისაგან განსხვავებული შეხედულება აქვთ ინგლისში, სადაც ინგლისური სამართალი ფორმალურად არ გამორიცხავს იურიდიული პირისათვის ანაზღაურების მინიჭების შესაძლებლობას არამატერიალური ზიანის გამო. მართალია იურიდიულ პირს არ შეუძლია განიცადოს „ტკივილი“ და „სტრესი“, მაგრამ მიღებულია, რომ მას შეუძლია განიცადოს „სოციალური დისკრედიტაცია“. მაგალითად, უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ სავაჭრო სფეროს წარმომადგენელ იურიდიულ პირს აუნაზღაურდება ზარალი მისი რეპუტაციის დაკარგვის გამო, ვინაიდან კომპანიის სახელი ამ შემთხვევაში ღირებულია და არ არსებობს არანაირი მიზეზი იმისა, რომ კანონმა არ დაიცვას იგი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინგლისში იურიდიული პირი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს თავიანთი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში, თუმცა ამის მიუხედავად, უნდა ითქვას ისიც, რომ არ არსებობს გადამწყვეტი მტკიცებულება იმისა, რომ ინგლისური სამართალი უნაზღაურებს იურიდიულ პირების არამატერიალურ ზიანს.<sup>40</sup>

#### 9. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა და მისი კრიტერიუმები

ვინაიდან არაქონებრივ ზიანს არ გააჩნია ფულადი შესაბამისობა (ეკვივალენტი), შეუძლებელია მოხდეს ხელყოფილი უფლების სრულყოფილი რესტიტუცია, შესაბამისად რა ოდენობისაც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი დაზარალებულს სრულად ვერ აღუდგენს უფლების ხელყოფამდე არსებულ მდგომარეობას. ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს გონივრულად, რაც თავის თავში გულისხმობს ზიანის ობიექტურ გაგებას. თუმცა შესაძლებელია სასამართლოს მიერ ობიექტურობამ გამოიწვიოს კომპენსაციის თანხის ზედმეტად შემცირებული ოდენობით განსაზღვრა, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებს იმ მიზნების განხორციელებას, რის გამოც ხდება ანაზღაურება. უფრო კონკრეტულად – დაზარალებულ პირს შესაძლოა ის ტანჯვა არ შეუმსუბუქდეს შემცირებული კომპენსაციის შემთხვევაში.<sup>41</sup>

მორალური ზიანის ოდენობა დამოკიდებულია პირის ფსიქიკურ სფეროში ნეგატიური შედეგების ხარისხსა და ხასიათზე, რასაც განაპირობებს კონკრეტული დაზარალებული პირის სუბიექტური შეფასება და მისი თავისებურებები. ზიანის

<sup>40</sup> Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective, 2015, p. 391-392.

<sup>41</sup> ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 104.

ოდენობის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ გარემოებებს, როგორცაა დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ამ კონკრეტული მორალური ზიანის მიმართ, შელახული უფლებების მნიშვნელობა, დაზარალებული პირის განცდების ინტენსივობა, პასუხისმგებელი პირის მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ბრალის ხარისხი, დაზარალებულის ცხოვრების პირობები, რაშიც იგულისხმება საოჯახო, ყოფითი, მატერიალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაზარალებულის ასაკი, ქონებრივი მდგომარეობა, სხეულის ან/და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებელი მკურნალობის ხანგრძლივობა, შრომის უნარის დაკარგვა და სხვა.<sup>42</sup>

იმისათვის, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ზიანის ანაზღაურების მოცულობა, საჭიროა კონკრეტულად გამოიკვეთოს ის კრიტერიუმები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ აღნიშნულ ზიანზე:

### 9.1. ფსიქიკური ზიანი, სულიერი ტკივილი

კომპენსაციის ოდენობას განაპირობებს ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხი. რაც უფრო დიდია ტანჯვა, მით უფრო დიდია ზიანის ანაზღაურების მოცულობაც. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნული უფლებების შელახვის შედეგად მიყენებულმა ფსიქიკურმა ზიანმა გამოხატულება ჰპოვა ფიზიკურ მდგომარეობაშიც, ეს ერთიორად გაზრდის ანაზღაურების მოცულობას. ასეთ დროს ყურადღებამისაქცევია ჯანმრთელობის მოშლის პერიოდი, იგი შეიძლება იყოს ხანგრძლივი, ან მოკლევადიანი. ჯანმრთელობის მოშლით შესაძლოა პირმა დაკარგოს შრომისუნარიანობა, რაც ასევე ზეგავლენას ახდენს კომპენსაციის ოდენობის ზრდაზე.<sup>43</sup>

კომპენსაციის მოცულობის ზრდაზე, განსაკუთრებულ ზეგავლენას მოახდენს, პირის ინტიმური სფეროებისთვის ზიანის მიყენება. ასევე ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, თუ რა საშუალებით მოხდა პიროვნული უფლებების შელახვა. კერძოდ, თუ მასობრივი ინფორმაციის რომელიმე საშუალებით მოხდა – ტელევიზიით, პრესით ან სხვა, ესეც რა თქმა უნდა გაზრდის კომპენსაციის მასშტაბს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა მიენიჭება გამოქვეყნებული მასალის ფორმას, მოცულობას, ადგილს, პირთა წრეს, რომლებიც შესაძლოა გაეცნონ აღნიშნულ მასალას. ხშირ შემთხვევაში არაქონებრივი უფლებების დარღვევისთვის ზიანის ანაზღაურების ფაქტები მედიას

<sup>42</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 10 ივლისის N ას-660-660-2018 გადაწყვეტილება, ველი 71.

<sup>43</sup> ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 105.

უკავშირდება, ასეთ შემთხვევაში კი, სასამართლოს მხრიდან კომპენსაციის არაგონივრულმა გაზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს პრესის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, რაც შესაძლოა უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთე აღმოჩნდეს, ვიდრე ის სიკეთეა, რომლის შელახვის საფუძველზეც ეკისრება პირს აღნიშნული კომპენსაციის გადახდა. აღსანიშნავია, რომ ზიანის მიმყენებელი სუბიექტის მიერ არსებული სიტუაციის გამოსწორების მიზნით გაკეთებული განცხადება, ან ანალოგიური სხვა ქმედება, კომპენსაციის შემცირების ერთ-ერთი წინაპირობაა.<sup>44</sup>

## 9.2. სამართალდამრღვევის ბრალეულობა

მორალური ზიანის ანაზღაურების რეპრესიული ფუნქციის განსახორციელებლად არსებითი მნიშვნელობა, სწორედ სამართალდამრღვევი სუბიექტის ბრალეულობას ენიჭება. განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა კომპენსაციის უფლებას და ასევე მის მოცულობას არსებითად ზრდის. წინასწარი განზრახვის გარეშე, მაგრამ ფაქტობრივი გარემოებების ზედაპირულად შესწავლის შედეგად, სამართალდამრღვევი სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელიც პირს მიაყენებს მორალურ ზიანს, არის განსაკუთრებული უპატივცემულობის გამოხატულება დაზარალებული პირის მიმართ. იგი თავის თავში მოიცავს დაზარალებული პირის მიერ ამ ფაქტის განსაკუთრებული სიმძაფრით აღქმას. შესაბამისად რაც უფრო დიდია პიროვნების უპატივცემულობა, მით უფრო დიდია ამ ქმედებით მიყენებული მორალური ზიანი (ტანჯვა). ხოლო რაც უფრო დიდია მორალური ზიანი, მით უფრო მაღალია კომპენსაციის მოცულობა.<sup>45</sup> მოცულობის განსასაზღვრად ყურადსაღებია ასევე სამართალდარღვევის სიმძიმე, რაც დამოკიდებულია მის ინტენსივობაზე, თუ რამდენად სერიოზული შედეგები გამოიწვია სამართალდარღვევამ და რამდენად ხანგრძლივი იყო იგი.<sup>46</sup>

## 9.3. ზიანის მიმყენებლის გადახდისუნარიანობა

დაზარალებული პირი მხოლოდ მაშინ იქნება დაკმაყოფილებული, როდესაც მან იცის, რომ ზიანის მიმყენებლის მიმართ გამოყენებული იქნება სათანადო სანქცია,

<sup>44</sup> ს. ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999, 76.

<sup>45</sup> ს. ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999, 76.

<sup>46</sup> Szilvia Altwicker-Hamori/Tilmann Altwicker/Anne Peters, Measuring Violations of Human Rights, p. 17.

რომელიც მისთვის მტკივნეულად აღქმადი და რეპრესიული ფუნქციის მატარებელი იქნება. აღნიშნული უნდა განვასხვავოთ იმ მოსაზრებისაგან, რომ თუ პირი უქონელია (მისი მატერიალური მდგომარეობა ძალიან ცუდია), იგი გათავისუფლებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან. რა თქმა უნდა ეს ასე არ არის. თუმცა, კომპენსაციის ოდენობა ერთპიროვნულად დამოკიდებულია სამართალდამრღვევი პირის მატერიალურ მდგომარეობაზე.<sup>47</sup> თუმცა ამასთან, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი უნდა იყოს ზიანის მიმცენებელი პირის დასჯა, რის გამოც კომპენსაციის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობაც.<sup>48</sup> ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ფუნქციური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება პირის „გონივრული ნუგეშისთვის“, გამომდინარე იქიდან, რომ ფულადი ანაზღაურება არამატერიალური ზიანის ეკვივალენტი ვერ იქნება, ვინაიდან მორალისა და ფულის გათანაბრება დაუშვებელია.<sup>49</sup> ასევე მნიშვნელოვანია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს მორალური ზიანის მიზანს - შეუმსუბუქოს დაზარალებულს სულიერი მდგომარეობა.<sup>50</sup>

პირის მატერიალური მდგომარეობის გარდა, გასათვალისწინებელია ადგილობრივი ეკონომიკური გარემოებები, რაც დაკავშირებულია იმ სახელმწიფოსთან, რომელშიც მიმდინარეობს დავა. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოების ეკონომიკური მდგომარეობა განსხვავებულია, განსხვავებული იქნება ერთსა და იმავე სამართალდარღვევაზე სასამართლოს მიერ განსაზღვრული მოცულობა. შესაძლოა ეს გარემოება სადავოდ იქნეს აღქმული, იმ არგუმენტით, რომ არსებობს თანაბარი მოპყრობის პრინციპი, რომელიც ვრცელდება ადამიანის უფლებებზე და შესაბამისად, იდენტური სამართალდარღვევისას კომპენსაციის ოდენობაც ერთნაირი უნდა იყოს. ეს არგუმენტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საფუძვლიანად, ვინაიდან თანასწორობის პრინციპი გულისხმობს არა იდენტურად მოპყრობას, არამედ - შესაბამის მოპყრობას. მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანია მოახდინოს ინდივიდის კომპენსაცია მიცენებული არამატერიალური ზიანისთვის მისი მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ვინაიდან მიცენებული არამატერიალური ზიანი ვერასოდეს ანაზღაურდება თანხით, მისი ერთ-ერთი მიზანია ნუგეშისცემა მსხვერპლისთვის, ან გარდაცვლილი ადამიანის შემთხვევაში - ოჯახის წევრისთვის. მსხვერპლისათვის ან/და მათი ახლობლებისათვის გადაცემული თანხის ოდენობა კი დამოკიდებულია

<sup>47</sup> ს. ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999, 76.

<sup>48</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 30 ივლისის N 3კ-423-03 გადაწყვეტილება.

<sup>49</sup> მიხეილ ბიჭია, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2014 წ. გვ.26

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის Nას-979-940-2014 გადაწყვეტილება.



თანხის მსყიდველუნარიანობაზე.<sup>51</sup> აქედან გამომდინარე, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა.

#### **9.4. „მოგება“**

აღნიშნული ტერმინი „მოგება“ არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ეკონომიკური ტერმინი, არამედ ის არის „ქონებრივი ხეირი“. ეს არის ის „ქონებრივი ხეირი“, რაც სამართალდამრღვევა პირმა მიიღო პიროვნული უფლებების ხელყოფის გზით. ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ პასუხისმგებელი სუბიექტის მიერ მიღებული „ქონებრივი ხეირის“ სრული ამოღება უნდა მოხდეს. შესაძლოა წარსულში არაერთხელ ყოფილიყო სამართალდამრღვევი პირის მხრიდან დარღვეული პიროვნული უფლებები და ამის შედეგად იგი იღებდა „ქონებრივ ხეირს“ წლების განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში სრულად უნდა დაითვალოს ხეირის მთლიანი ოდენობა და ასევე სრულად იქნეს ამოღებული. რა თქმა უნდა აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა კომპენსაციის ოდენობის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება „ქონებრივი ხეირის“ ოდენობაზე. კომპენსაციის ოდენობა ამ შემთხვევაში გვევლინება, როგორც სამართალდარღვევის სუბიექტის შემაჩერებელი და დაზარალებულის დამცავი საშუალება, შესაბამისად მისი ზუსტი ოდენობის განსაზღვრა ძალიან მნიშვნელოვანია. „ქონებრივი ხეირის“ დაანგარიშება საკმაოდ დეტალურად უნდა მოხდეს, მაგალითად: ბეჭდვით საინფორმაციო საშუალებაში გავრცელებული, პიროვნული უფლებების შეურაცხმყოფელი ცნობების შემთხვევაში „ქონებრივი ხეირი“ გამოითვლება იქიდან, თუ რამდენად გაიზარდა ამის შედეგად ტირაჟი. რეკლამებიდან შემოსული გაზრდილი თანხის ოდენობა, რაც ასეთი ცნობების შემცველ გვერდზე მათი განთავსებით არის გამოწვეული. გამოთვლაში ასევე შედის ის თანხა, რასაც რედაქცია უხდის ინფორმატორებს, აღნიშნული ცნობების მოძიებაში.<sup>52</sup>

#### **9.5. სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებსაც ყურადღება უნდა მიექცეს მოცულობის განსაზღვრისას**

შესაძლოა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები საკმარისი არ იყოს იმ ზიანის გამოსათვლელად, რაც დაზარალებულმა მიიღო, მაგრამ ისინი რაციონალურ

<sup>51</sup> Szilvia Altwicker-Hamori/Tilmann Altwicker/Anne Peters, Measuring Violations of Human Rights, p. 19-20, 41.

<sup>52</sup> ს. ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999, 78.

პრინციპზეა აგებული და მათი დახმარებით შესაძლებელია „გონივრული“ და „სამართლიანი“ ანაზღაურების დაკისრება სამართალდამრღვევი მხარისათვის. ამ კრიტერიუმების შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კომპენსაციის მოცულობის განსაზღვრა უნდა მოხდეს საკითხის დეტალების სრული გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე. ამასთან, საყურადღებოა, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ მოლოდინებს. მოსამართლეებმა საკუთარი ცოდნისა და გამოცდილებიდან გამომდინარე უნდა შეაფასონ არამატერიალური ზიანი იმ ფარგლებში, რომელიც საზოგადოების გადმოსახედიდან სამართლიანად იქნება აღქმული.<sup>53</sup>

კომპენსაციის ოდენობის გამოთვლისათვის მნიშვნელოვანი გარემოება შესაძლოა იყოს ისიც, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება არ მიიღოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, ვინაიდან პროცესში დაზარალებული მხარის მონაწილეობამ შესაძლოა დიდი მნიშვნელობა იქონიოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე GOC v. Turkey გაამახვილა ყურადღება აღნიშნულ საკითხზე და განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეექმნება პირადი შთაბეჭდილება დაზარალებულის მდგომარეობაზე, მის მიერ განცდილ ტკივილსა და სხვა გარემოებებზე, რაც მას გაუმარტივებს გადაწყვეტილების ობიექტურად და სამართლიანად მიღებას.<sup>54</sup>

ყურადღება ექცევა დაზარალებულის სოციალურ სტატუსს და მორალურ ქცევასაც. დოქტრინალური თვალსაზრისით ვარაუდობენ, რომ მოცულობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის მორალური ქცევა, თუმცა ამ შემთხვევაში მან სპეციალურად არ უნდა მოირგოს დაზარალებულის როლი იმ მიზნით რომ ასანაზღაურებელი მოცულობა გაიზარდოს.<sup>55</sup>

კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა გაითვალისწინოს მატერიალური ასპექტებიც, კერძოდ ასეთი გარემოებაც - როდესაც სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილების აღსრულება გაჭიანურებული იქნა დროში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაზარალებულისათვის არამატერიალური ზიანის გაზრდა.<sup>56</sup>

ყოველი საქმის შესწავლისას სასამართლომ ზუსტად უნდა გამოიკვლიოს დაზარალებული პირის სუბიექტური დამოკიდებულება ქმედების მიმართ. თითოეულ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიანიჭოს და ძალიან

<sup>53</sup> The Law Commission, Law Com No 257. Damages for Personal Injury: Non-pecuniary Loss. p. 38.

<sup>54</sup> მართლმსაჯულება და კანონი N4 (68)'20, 2020 წ. გვ. 127.

<sup>55</sup> Szilvia Altwicker-Hamori/Tilmann Altwicker/Anne Peters, Measuring Violations of Human Rights, p. 19.

<sup>56</sup> Szilvia Altwicker-Hamori/Tilmann Altwicker/Anne Peters, Measuring Violations of Human Rights, p. 40.

დიდი სიზუსტით უნდა განსაზღვროს ზიანის ანაზღაურების ოდენობა. როგორც წესი, სასამართლო დაზარალებულის მიერ მოთხოვნილ თანხას არ აჭარბებს, პირიქით, ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილზე ნაკლებ თანხას აწესებს ასანაზღაურებლად. თანხის ოდენობაზე ასევე მოქმედებს კონკრეტულ საქმეზე პირის მიერ მრავალჯერადი სამართალდარღვევა.<sup>57</sup>

## 9.6. შეჯამება

გამომდინარე იქიდან, რომ მორალური ზიანის მოცულობის განსაზღვრისათვის კრიტერიუმების ოდენობა საკმაოდ ვრცელია, ასევე არის დამატებითი ასპექტები, რაც უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ასევე გამოიკვეთება ისეთი გარემოებები, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება სასამართლოს მიერ მოცულობის განსაზღვრისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი საკმაოდ რთული და კომპლექსურია. გამომდინარე იქიდან, რომ არამატერიალური ზიანის შეფასება სუბიექტურია, რაც თავის თავში გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული მორალური ზიანი თითოეული ინდივიდისთვის განსხვავებულად აღიქმება, რთულია მისი ობიექტურად შეფასება. ამის გასამართლებლად შემუშავებულია არაერთი მეთოდი, რომელთაგან აშშ-ში ყველაზე ხშირად გამოყენებადია „Value of a Statistical Life“. თუმცა მიუხედავად ამისა აღნიშნული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ პრობლემის სათანადო გადაწყვეტის გზის ძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა.<sup>58</sup>

## 10. ხანდაზმულობის ვადა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის შესახებ ან დამზიანებელი პირის შესახებ, ხოლო 130-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა

<sup>57</sup> Varnava and others v. Turkey, supra note 28, para. 224.

<sup>58</sup> Siewert D. Lindenbergh and Peter P.M. van Kippersluis, Rotterdam Institute of Private Law Accepted Paper Series, Non pecuniary losses, p. 10.

შეეცო უფლების დარღვევის შესახებ. მორალური ზიანის შემთხვევაში ზიანის დადგომისა და უფლების დარღვევის მომენტი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევა. რა თქმა უნდა უფლების დარღვევის მომენტში ხშირ შემთხვევაში ადამიანი იღებს მორალურ ზიანსაც, თუმცა ასევე ხშირად არის გამონაკლისი შემთხვევები, კერძოდ - ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში დამდგარი მორალური ზიანის დროს, როდესაც უფლების დარღვევა - ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება შესაძლოა მოხდეს კონკრეტულ დროს, თუმცა დაზარალებულს რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ მიადგეს მორალური ზიანი. მაგალითად წარუმატებელი სამედიცინო ჩარევის შედეგი გამოვლინდეს მოგვიანებით და სულაც არ დაემთხვეს სამედიცინო მანიპულაციის დღეს.<sup>59</sup>

აღნიშნული საკითხი დაარეგულირა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც იმსჯელა ხანდაზმულობის ვადაზე და განმარტა, რომ მორალური ზიანი არის არამატერიალური ცნება, იგი უკავშირდება არა კონკრეტულად რაიმე შემთხვევის დადგომის მომენტს, არამედ - დაზარალებულის განცდას, იმ მომენტს თუ როდის მიადგა მას მორალური ზიანი. ვინაიდან აღნიშნული არ არის დამოკიდებული რომელიმე ფაქტობრივ გარემოებაზე, იგი დამოკიდებულია მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტურ შეფასებაზე.<sup>60</sup> გამომდინარე აქედან კანონით გათვალისწინებული მუხლების დამოუკიდებლად მორალური ზიანის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა უნდა დაარეგულირდეს კონკრეტული შემთხვევის შეფასების გზით.

## **11. მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში**

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის სხვა კრიტერიუმებსაც, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს კონკრეტულ სამართალდარღვევასთან, მაგალითად: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის უფლების დარღვევა; თავისუფლებებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევა; პირადი საიდუმლოების დარღვევა; სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლების დარღვევა; ამ უკანასკნელ დარღვევას განსაკუთრებულ

<sup>59</sup> მართლმსაჯულება და კანონი N4 (68)'20, 2020 წ. გვ. 13.

<sup>60</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის Nბს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილება.

ყურადღებას აქცევს საქართველოს კანონმდებლობა, ამიტომაც იგი დეტალურად უნდა განვიხილოთ.

ადამიანისათვის ერთ-ერთი ფუნდამენტურია სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება. ჯანმრთელობის უფლებაში კი მოიაზრება სხეულის მთლიანობის უფლება, სულიერი მთლიანობისა და თავისუფლების უფლება, ამიტომაც ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების დროს ხშირია შემთხვევა, როდესაც დაზარალებულს მიადგა მორალური ზიანიც.<sup>61</sup> ჯანმრთელობის დაზიანება განიხილება როგორც ყველაზე სერიოზული გამოვლინება ადამიანის მთლიანობისა და ადამიანის ღირსების შელახვისა. არამატერიალური ზიანი კი არის ყველაზე ინტიმური ზიანი, რომელიც გამოწვეულია ასეთი დაზიანების შედეგად, ასევე მჭიდრო კავშირშია მსხვერპლის შესაძლებლობასთან - გამოიმუშაოს და ისიამოვნოს მატერიალური საკუთრებით.<sup>62</sup> ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მატერიალური ზიანი მოიცავს შრომისუნარიანობის შეზღუდვას ან დაკარგვას, შემოსავლის დაკარგვას და სხვა სპეციფიკურ ზიანს, რომელიც ზიანს აყენებს ქონებას ან ბიზნესს, გონივრული სამედიცინო და სხვა ხარჯები<sup>63</sup>. არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ადგენს სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის დისპოზიციაც შემდეგნაირია: „სხეულის დაზიანების, ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც“. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ამ კონკრეტული სამართალდარღვევისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი, რაც მას გამოარჩევს სხვა სამართალდარღვევებისაგან, არის ის, რომ სახეზე უნდა იყოს სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის ვნების ფაქტი. სხეულის დაზიანებამ ან ჯანმრთელობის მოშლამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ხასიათის მორალური ზიანი, მაგრამ ის უნდა იყოს ანგარიშგასაწევი და სამართლებრივად მნიშვნელოვანი.<sup>64</sup> ასეთ შემთხვევაში მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია შემდეგ კრიტერიუმებზე: ტკივილის სიმძიმეზე, დაზარალებული პირის ასაკზე, ქონებრივ მდგომარეობაზე, სულიერ განცდებზე. თითოეული კრიტერიუმი თავის მხრივ ამძაფრებს მორალური ზიანის ხარისხს და შესაბამისად ზიანის ოდენობაც იზრდება. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ჯანმრთელობის მოშლის პერიოდზე, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხზე, ზიანის მიმყენებლის როგორც

<sup>61</sup> Compensation of Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, Acta Universitatis Danubius, Vol. 13, no. 3/2017, p. 3.

<sup>62</sup> Stathis Banakas, Non-pecuniary Loss in Personal Injury: Topography Architecture and Nomenclature in the European Landscape, 2016. p. 338.

<sup>63</sup> Fleming James Jr. Damages in Accident Cases, Cornell Law Review, 1956, p. 598.

<sup>64</sup> ნინო დოლიძე, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნ. 2016 წ. გვ. 102

მატერიალურ, ისე ოჯახურ მდგომარეობაზე.<sup>65</sup> ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევებში ზიანის მიმყენებელი მხარე უმეტეს შემთხვევაში არის სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი (ეს შესაძლოა იყოს კლინიკა ან ფიზიკური პირი). ასეთ სამედიცინო საქმეებში არსებობს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ორი დამოუკიდებელი საფუძველი: სამედიცინო შეცდომა და პაციენტის უფლებების დარღვევა.<sup>66</sup>

სხეულის ან/და ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული არამატერიალური ზიანი შეიძლება სულაც არ გამომდინარეობდეს უშუალოდ სამართალდარღვევიდან, არამედ შეიძლება მისი თანმდევი შედეგი იყოს, მაგალითად: აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, უშედეგო მკურნალობა და ამ უშედეგო მკურნალობისაგან გამოწვეული ცხოვრების ხალისის დაკარგვა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, ნერვული დამაბულობა, რაც დაზარალებულს უყალიბებს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს. ასეთ დროს სავალდებულოა დასტურდებოდეს რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულის ან/და ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.<sup>67</sup>

მიყენებულმა ფიზიკურმა ზიანმა, შესაძლოა იმოქმედოს დაზარალებულის ფსიქიკაზეც და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა. ეს წარმოადგენს არამატერიალურ ზიანს, თუმცა სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე მისი მტკიცება შესაძლებელია ეფუძნებოდეს ექსპერტიზის დასკვნას. თუ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა არ არსებობს მტკიცებულებად, მაშინ შესაძლოა მხოლოდ ფიზიკური ზიანის მიყენება საკმარისი არ აღმოჩნდეს არაქონებრივი ზიანის დასადგენად. იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული მოითხოვს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას, მან აუცილებლად უნდა წარმოადგინოს მატერიალური ზიანის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. საქმის გადაწყვეტისათვის სასამართლო ითვალისწინებს სხვა საკითხებსაც, კერძოდ – რამდენად არის სახეზე ექიმის ბრალეულობა აღნიშნულ ზიანთან დაკავშირებით. მაგალითად იმ შემთხვევაში თუ პაციენტი დროულად არ მიაწოდებს ინფორმაციას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და სწორედ ამ მიზეზით დადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში ექიმის ბრალეულობას სასამართლო გამორიცხავს და შესაბამისად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარს ეტყვის მოსარჩელეს. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნა

<sup>65</sup> ჯორბენამე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 107.

<sup>66</sup> Journal of Civil Law Studies, Developments in personal injury law in Poland, 10.05.2015, 332.

<sup>67</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 10 ივლისის N ას-660-660-2018 გადაწყვეტილება, ველი 56.

მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლებში გაცილებით დიდია, ვიდრე სასამართლოს მიერ დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა. ეს საკითხი შეიძლება აიხსნას იმით, რომ პაციენტს ამ საკითხზე სუბიექტური დამოკიდებულება გააჩნია, ხოლო სასამართლომ ობიექტურად უნდა განსაზღვროს ზიანის ოდენობა. მისი გადაწყვეტილება უნდა იყოს „გონივრული და სამართლიანი“.<sup>68</sup>

ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაშიც მკაცრად გამიჯნულია მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებადი ოდენობები. კერძოდ, მატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის კონკრეტული ოდენობა უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრადია, ხოლო მორალური ზიანისათვის ანასაზღაურებელ ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს. განსხვავებით ქონებრივი ზიანის შემთხვევაში ანაზღაურებული თანხისა, ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიღებული ანაზღაურების მიზნობრივ გამოყენებას დაზარალებულის მიერ. მატერიალური (ამ შემთხვევაში სხეულის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული) ზიანისათვის მიღებული ანაზღაურება აუცილებლად უნდა მოახმაროს ამ ზიანის გამოსწორებას. იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული არაკეთილსინდისიერად იქცევა და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად მიღებულ თანხას სხვა მიზნით დახარჯავს, ეს თანხა მან უკან უნდა დააბრუნოს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული თანხა ჩაითვლება მორალური ზიანის ანაზღაურებულ თანხად რაც უკვე ისედაც დაფარული აქვს ზიანის მიმყენებელ პირს.<sup>69</sup>

## 12. მორალური ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის უგონო მდგომარეობაში ყოფნისას

ჯანმრთელობის დაზიანებამ შესაძლოა გამოიწვიოს დაზარალებულის უგონო მდგომარეობაში ჩავარდნა. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ ადამიანები არ განიცდიან რაიმე ტკივილს, ვინაიდან ისი არიან უგონო მდგომარეობაში და შესაბამისად მოკლებულნი არიან იმ უნარს, გააცნობიერონ თავიანთი მდგომარეობა და ამ სიტუაციის გამო დამატებით მიიღონ მორალური ზიანი. შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურება არ ეკუთვნის, როგორც ეს მოხდა *Wise v Kaye* (1962) საქმეში, სადაც მოსარჩელე იყო კომაში (უგონო მდგომარეობაში). თუმცა, ასეთ შემთხვევებში დაზარალებულის სასარგებლოდ ჯანმრთელობისადმი მიყენებული

<sup>68</sup> ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 108-109.

<sup>69</sup> BGH 14 January 1986, 1538; note 13, p. 159.

მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად ძალიან დიდი თანხა ეკისრება სამართალდამრღვევს.<sup>70</sup> ეს მოსაზრება სადავოა, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციით მინიჭებულ ადამიანის პიროვნული ხელშეუვალობის უფლებას და შესაბამისად დაუშვებელია რომ დაზარალებულის უგონო მდგომარეობაში ყოფნის ფაქტმა სრულად გაათავისუფლოს ზიანის მიმცენებელი მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისაგან.<sup>71</sup> გერმანიაში ტკივილის და ტანჯვის შეფასება დამოკიდებულია დაზარალებულის სუბიექტურ გამოცდილებაზე, შესაბამისად, თუ დაზარალებული რეალურად არ განიცდის ტკივილს, მიღებული თანხა შეიძლება შემცირდეს, ზოგჯერ მკვეთრადაც კი. ზოგიერთ დაზარალებულს სასამართლომ მიანიჭა უფრო დაბალი თანხები მორალური ზიანის საკომპენსაციოდ იმ მოტივით, რომ ეს დაზარალებულები არ განიცდიდნენ ისევე, როგორც სრული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირები. ეგ გადაწყვეტილებები გააკრიტიკა გერმანიის იუსტიციის დეპარტამენტმა, როგორც უსამართლო დისკრიმინაციის აქტები, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას.<sup>72</sup>

### 13. მორალური ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში

იმ შემთხვევაში, თუ არასწორი მკურნალობის შედეგად პაციენტი გარდაიცვლება, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს გარდაცვლილის ოჯახის წევრს, ან მის ახლობელს. მისი ფსიქიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხარისხიდან გამომდინარე.<sup>73</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული სამართალი დიდი პრობლემის წინაშე იდგა, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკა საპირისპირო იყო. კერძოდ იგი განმარტავდა, რომ სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლება გააჩნია მხოლოდ დაზარალებულს. უდავოა, ახალგაზრდა შვილის გარდაცვალებით მშობლის მიერ მორალური ტკივილის განცდა, მაგრამ იგი არ ექვემდებარება მატერიალურ ანაზღაურებას, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქმედი

<sup>70</sup> Principles of Tort Law, fourth edition, 2000, 436.

<sup>71</sup> გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 8.10.2015, მუხ. 413, ველი 11.

<sup>72</sup> Justice Arden DBE, Chairman, Andrew Burrows, Diana Faber, Charles Harpum, Stephen Silber QC, The Law Commission Consultation Paper No 140, Damages for Personal Injury: Non-Pecuniary Loss, 1995, p. 76.

<sup>73</sup> ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 8.10.2015, მუხ. 18, ველი 110.



კანონმდებლობით.<sup>74</sup> ამასთან, დაზარალებულის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის შემდგომ, რომელიც მოითხოვდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას, დაზარალებული გარდაიცვლება, ასეთ შემთხვევაში მორალური ზიანის ფულადი საზღაური შეიძლება სამკვიდრო მასის შემადგენელ ნაწილად ჩაითვალოს.<sup>75</sup> ამასთან, სასამართლო პრაქტიკა ასევე ადგენდა იმ პრაქტიკასაც, რომ პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.<sup>76</sup> ვინაიდან გარდაცვალების დროს არამატერიალური ზიანის ფულადი კომპენსაციით გარდაცვლილის დაკმაყოფილების ფუნქცია ვერ სრულდება.<sup>77</sup>

### 13.1. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში

აღნიშნული პრობლემა დაარეგულირა სტრასბურგის სასამართლომ, რომელმაც აღნიშნა: „უზენაესი სასამართლოს მიერ იმის დადასტურების ფონზე, რომ მომჩივანმა „უდავოდ“ განიცადა ფსიქოლოგიური სტრესი მისი ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების გამო, უპირობო საკანონმდებლო შეზღუდვით მომჩივანს გაუმართლებლად წაერთვა შესაძლებლობა, სასამართლოს გზით მოეთხოვა კომპენსაციის მიღება არაქონებრივი ზიანის სანაცვლოდ. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ვალდებულების დარღვევას.<sup>78</sup> რაც მთავარია, აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ შეცვალა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა და უზენაესი სასამართლოს მიერ შემდგომში განიმარტა, რომ „დადგენილი პრაქტიკის ცვლილებას საფუძვლად დაედო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“. ამასთან დასძინა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით დადგენილი იერარქიის პრინციპიდან

<sup>74</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის №ბს-327-309 (23-07) გადაწყვეტილება.

<sup>75</sup> მიხეილ ბიჭია, სამართალი და მსოფლიო N4, 2016 წ. გვ. 53.

<sup>76</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის N ას-1433-1531-04 გადაწყვეტილება.

<sup>77</sup> მიხეილ ბიჭია, სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ. 18.

<sup>78</sup> სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ 97-98.

გამომდინარე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია უპირატესია საქართველოს ყველა ნორმატიულ აქტზე.<sup>79</sup>

### 13.2. საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლოების განმარტება მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მესამე პირის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას პირისათვის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, პირიქით, ამის საწინააღმდეგო ჩანაწერიც კი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რის საფუძველზეც სასამართლო უარს ამბობდა ანაზღაურების დაწესებაზე, ვინაიდან „მორალური ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლების სუბიექტს. სხვა პირი, მათ შორის მემკვიდრე (მეუღლე), ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს მოკლებულია.“<sup>80</sup> საკასაციო პალატა განმარტავდა, რომ ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული დარდი, გულისტკივილი, შინაგანი ცხოვრების რიტმის დარღვევა, გლოვა და დეპრესია არ არის საკმარისი წინაპირობა იმისათვის, რომ გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი ადამიანებისათვის მორალური ზიანი იქნეს ანაზღაურებული. მსგავს შემთხვევებში მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება დასაშვებია გამონაკლისის სახით, მხოლოდ მაშინ, როდესაც დაზარალებულის მძიმე ფსიქოპათოლოგიური დარღვევები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს, რომლებიც არსებითად სცილდება ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მიმართ სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს (ვნებებს) და რომელიც ამის გამო შეიძლება გავაიგივოთ სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან.<sup>81</sup>

სასამართლო პრაქტიკა წარმატებით შეიცვალა და ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ სასამართლოს პოზიცია შეიცვალა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული დაზარალებულის

<sup>79</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის №ას-1800-2019 გადაწყვეტილება §36-37.

<sup>80</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 5 დეკემბრის N 3კ/754-01 გადაწყვეტილება.

<sup>81</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის N ას-593-568-2016 გადაწყვეტილება, ველი 22.

სიცოცხლის ხელყოფის გამო მისი ახლობლებისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდებოდა.<sup>82</sup>

### 13.3. ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში

ევროპული კანონმდებლობა არამხოლოდ პირის გარდაცვალების, არამედ პირისათვის სერიოზული, თუმცა არასასიკვდილო ზიანის მიყენების შემთხვევაშიც კი განსაზღვრავს მესამე პირის მხრიდან მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას.<sup>83</sup> ამ შემთხვევაში მესამე პირი უნდა იყოს დაზარალებულისათვის ძალიან ახლობელი - ოჯახის წევრი. ასევე მნიშვნელოვანია ახლობელი პირების განმარტება, თუ ვინ შეიძლება განხილულ იქნას ახლობელ პირად/ოჯახის წევრად. მაგალითისთვის ესტონეთში მორალური ზიანის ანაზღაურება განსხვავებულად ხდება რაც დამოკიდებულია განსაკუთრებულ გარემოებებზე, რომელიც აღნიშნულია კანონში. ესტონეთის უზენაესი სასამართლოს მიერ ამ განსაკუთრებული გარემოებების ვიწრო დასაბუთებამ შექმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც ახლობელ პირს შეუძლია მხოლოდ იშვიათ და გამონაკლის შემთხვევებში მიიღოს მორალური ზიანის ანაზღაურება.<sup>84</sup>

აღნიშნულ საკითხზე იგივე პოზიციას იზიარებს გერმანიისა და ინგლისის სამართლის ნორმებიც, სადაც ოჯახის წევრს აქვს უფლება მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. ამ უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ფსიქოლოგიური ტრავმა უნდა აღემატებოდეს ყოველდღიური რისკის შემთხვევებს და ჰქონდეს განგრძობადი სახის არსებითი გავლენა ნორმალურ ცხოვრებისეულ ყოფაზე.<sup>85</sup>

---

<sup>82</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის Nას-14-1466-05 გადაწყვეტილება.

<sup>83</sup> Utrecht Law Review, Volume 3, Issue 2, (December) 2007, p. 94.

<sup>84</sup> Janno Lahe, Irene Kull, International Comparative Jurisprudence, 2016, p. 6.

<sup>85</sup> ნინო ქათამაძე, სამართალი და მსოფლიო, #9, 2018 წ. გვ. 85-86.

## 14. სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება გერმანიაში

### 14.1. კანონმდებლობა

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 252-ე მუხლი არეგულირებს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს. მუხლის დისპოზიცია შემდეგნაირია:

„1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი საზღაური შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. თუ ანაზღაურებას ექვემდებარება სხეულისათვის, ჯანმრთელობისათვის, თავისუფლებისათვის ან სქესობრივი თვითგამორკვევისათვის მიყენებული ზიანი, მაშინ არაქონებრივი ზიანისთვისაც შესაძლებელია გონივრული ფულადი საზღაური იქნეს მოთხოვნილი.

აღნიშნული ნორმა ეხება მხოლოდ ასანაზღაურებელ ფულად კომპენსაციას. ამ მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს და ჩამოთვლის ყველა იმ გამონაკლის შემთხვევას, როდესაც შესაძლებელია პირმა მოითხოვოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურება. იგი არ ქმნის ცალკე მდგომ მოთხოვნის საფუძველს, არამედ აყენებს წინაპირობას მოვალის მიერ ზიანის ანაზღაურების კანონისმიერ ვალდებულებას.<sup>86</sup> ამავე კოდექსის 823-ე მუხლის მიხედვით პირი, რომელიც გაზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, ვალდებულია აუნაზღაუროს მისი ქმედებით გამოწვეული ზიანი. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული ამ ორი მუხლის საფუძველზე გერმანიის კანონმდებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ჰქონდეს დაზარალებულ პირს.

### 14.2. სასამართლოების მიერ მიღებული პრაქტიკა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებების მისაღებად

გერმანიის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ზიანის ანაზღაურება ეფუძნება მოსამართლის დისკრედიტაციასა და მსჯელობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს

<sup>86</sup> იან კროპპოველი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014. გვ.135-136.

საქმის ყველა გარემოება.<sup>87</sup> მოსამართლეები ყურადღებას აქცევენ ყველა იმ გარემოებასა თუ დეტალს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მორალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისთვის ნაშრომში ზემოთ დასახელებული ყველა გარემოების ჩათვლით. გარდა ამისა, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის მოსამართლეები იყენებენ სპეციალურ ცხრილებს, რომლებსაც „Schmerzensgeld tabellen” ეწოდება. ეს ცხრილები არ არის გერმანული კანონმდებლობის ნაწილი, თუმცა ისინი მოიცავენ კონკრეტულ საქმეებზე სასამართლოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილებების სისტემურ კრებულს, რაც მოსამართლეებს აძლევს ინფორმაციას სხვადასხვა სამართალდარღვევაზე ან/და დაზიანებაზე მიღებულ გადაწყვეტილებასა და მათზე განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობის შესახებ.<sup>88</sup> გერმანული ტერმინი Schmerzensgel უფრო ფართოა, ვიდრე ნებისმიერი ეკვივალენტური იურიდიული ტერმინი, იგი თავის თავში მოიცავს ტკივილს, ტანჯვას, კეთილგანწყობის დაკარგვას, გაუფასურებას, სიცოცხლის მოლოდინის დაკარგვას და ა.შ. მისი მიზანია ანაზღაურდეს ყველა სახის არამატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია ჯანმრთელობის ან/და სხეული დაზიანების დროს.<sup>89</sup>

### 14.3. გერმანული სასამართლოების მიერ განსაზღვრული თანხები სხეულის ან/და ჯანმრთელობის დაზიანებების მიხედვით

გერმანული სასამართლოები კომპენსაციის დიდ ოდენობას განსაზღვრავენ სხეულის ან/და ჯანმრთელობის ისეთ დაზიანებებზე, რომლებიც დაკავშირებულია თავის ტვინის დაზიანებებთან, ანდაც ისეთ დაზიანებებთან, რომლებიც იწვევს დაზარალებულის პარალიზებას და ისეთ მდგომარეობას, როდესაც იგი ვეღარ შეძლებდა საკუთარი თავის მოვლას. სხეულის ან/და ჯანმრთელობისათვის ასეთი ტიპის დაზიანებების შემთხვევაში სასამართლოს მიერ მორალური ზიანის კომპენსაციისათვის განსაზღვრული თანხები ძირითადად მერყეობს 100 000 ევროდან

---

<sup>87</sup> Patricia Piticas, Compensation of non-pecuniary losses for personal injury in legal systems based on judicial discretion with specific reference to traffic accidents, University of Amsterdam, 2016, p. 15.

<sup>88</sup> Basil Markesinis, Michael Coester, Guido Alpa and Augustus Ullstein, Compensation for Personal injury in English, German and Italian Law: A comparative Outline, Cambridge U.K. University press, 2005, p. 67.

<sup>89</sup> Basil S. Markesinis, Hannes Unberath, The German Law of Torts, A Comparative Treatise, fourth edition, Entirely Revised and Updated, 2002, p. 916.

400 000 ევრომდე. მაქსიმალური ოდენობა კი შეადგენს 500 000 ევროს, ამ შემთხვევაში დაზარალებული იყო სამი წლის ბავშვი.<sup>90</sup>

შედარებით ნაკლებია მორალური ზიანის კომპენსაციისათვის განსაზღვრული ოდენობა ოჯახის წევრებისათვის (ახლო ნათესავებისათვის), რომლებმაც განიცადეს მორალური ტანჯვა საყვარელი ადამიანის გარდაცვალების შედეგად. ძირითადად, ასეთ შემთხვევებში ასანაზღაურებელი ოდენობა 5 000 ევროს არ სცდება, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევები როდესაც 10 000 და 35 000 ევროც კი განუსაზღვრავს სასამართლოს დაზარალებულის სასარგებლოდ.<sup>91</sup>

#### **14.4. გარემოებები, რომლებზედაც გერმანული სასამართლოები ამხვილებენ ყურადღებას სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობის დადგენისას**

სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობის დადგენისას გერმანიაში სასამართლოები ყურადღებას განსაკუთრებით ამხვილებენ რამდენიმე გარემოებაზე, სახელდობრ: კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუქმნა (ან შეუქმნა თუ არა საერთოდ) საფრთხე დაზიანებამ დაზარალებულის სიცოცხლეს. ასევე გადამწყვეტი ფაქტორებია ტკივილის ზომა, სიმძიმე, მისი ხანგრძლივობა, ტანჯვა, ფსიქოლოგიური დარღვევები. ასევე განისაზღვრება პირველადი დაზიანების ტიპის, საჭირო ოპერაციების რაოდენობისა და სიმძიმის, სტაციონარის ხანგრძლივობის მიხედვით. შრომისუუნარობის პერიოდი, არის თუ არა ზიანი მუდმივი.<sup>92</sup>

სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობის განსაზღვრის ე.წ. „დამამძიმებელი“ გარემოებების უფრო ნათლად აღსაქმელად მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, კერძოდ - გერმანული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ერთსადაიმავე დაზიანებაზე - ბარძაყის სახსრის დაზიანებაზე:

<sup>90</sup> Patricia Piticas, Compensation of non-pecuniary losses for personal injury in legal systems based on judicial discretion with specific reference to traffic accidents, University of Amsterdam, 2016, p. 16.

<sup>91</sup> Patricia Piticas, Compensation of non-pecuniary losses for personal injury in legal systems based on judicial discretion with specific reference to traffic accidents, University of Amsterdam, 2016, p. 17.

<sup>92</sup> ბრანდერბურგის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N12U124/20 გადაწყვეტილება.

- ფრანკფურტის სასამართლომ 45 წლის მამაკაცს მიაკუთვნა 23 519.43 ევროს ანაზღაურების უფლება მორალური ზიანისთვის. დაზარალებულს აღენიშნებოდა ხანგრძლივი დაზიანება, შეზღუდული მობილურობა, სიარულის სირთულე და დასჭირდა ხელოვნური ბარძაყის სახსრის ჩამონტაჟება.<sup>93</sup>
- ბრანდენბურგის სასამართლომ მამაკაცს, რომლის სამსახურიც საჭიროებდა ფიზიკურ შრომას, მიაკუთვნა 35 000 ევროს ოდენობა მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის. დაზარალებულს აღენიშნებოდა სიარულის სირთულე, გაუარესების ტენდენცია და მომდევნო რამდენიმე წელიწადი უნდა ეტარებინა ხელოვნური სახსარი. <sup>94</sup> ამ შემთხვევაში სასამართლომ გაითვალისწინა დაზარალებულის ნორმალური სამუშაო გარემო და აქედან გამომდინარე გაზარდა თანხის ოდენობა.
- ნიუნბერგის სასამართლომ 21 წლის მამაკაცს მიაკუთვნა 40 000 ევროს ოდენობა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. დაზარალებულს აღენიშნებოდა: ხელოვნური ბარძაყის სახსარი, რომელიც დაზარალებულის სიცოცხლის განმავლობაში საჭიროებდა შეცვლას. ფეხის დამოკლება, მოძრაობის შეზღუდვა. <sup>95</sup> ამ შემთხვევაში იკვეთება ექიმის პასუხისმგებლობა - მკურნალობისას უხეში შეცდომა.
- კიოლნის სასამართლომ 61 წლის ქალს მიაკუთვნა 40 903.35 ევროს კომპენსაცია მორალური ზიანისთვის. დაზარალებულს 6 ჯერ მოუწია სტაციონარში ყოფნა, აქედან ზოგიერთი რამდენიმე თვიანიც კი იყო. 4 ოპერაცია ჩაუტარდა მნიშვნელოვანი გართულებებით და აღენიშნებოდა ხანგრძლივი დაზიანება, ძლიერი ტკივილი და მიჯაჭვული იყო ინვალიდის ეტლს.<sup>96</sup>
- საარბრიუკენის სასამართლომ 31 წლის მამაკაცს მიაკუთვნა 65 000 ევროს ოდენობის თანხა მისი მორალური ზიანის საკომპენსაციოდ. მისი დაზიანება იყო მუდმივი რაც ზღუდავდა მოძრაობას და დატვირთვას, იგი გავლენას ახდენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ჰობიზე (სპორტზე) და სამსახურზე. ასევე

<sup>93</sup> ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 1994 წლის 22 სექტემბრის N1U57/93 გადაწყვეტილება.

<sup>94</sup> ბრანდენბურგის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2003 წლის 19 თებერვლის N7U135/02 გადაწყვეტილება.

<sup>95</sup> ნიუნბერგის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2009 წლის 6 მარტის N5U1630/07 გადაწყვეტილება.

<sup>96</sup> კიოლნის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 1981 წლის 14 იანვრის N16U63/80 გადაწყვეტილება.

იკვეთება ექიმის პასუხისმგებლობა არასწორი მკურნალობის თვალსაზრისით.<sup>97</sup>

- ნიუნბერგის სასამართლომ 1 წლის ბავშვს მიაკუთვნა 100 000 ევროს ოდენობის თანხა მორალური ზიანისთვის. დაზარალებულს დასჭირდა ხანგრძლივი თერაპიული მკურნალობა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდება. აღენიშნებოდა გრძელვადიანი დაზიანება, მოძრაობის მკაცრი შეზღუდვა. გაუარესების ტენდენცია - ბარძაყის ხელოვნური სახსრები, არაერთი ოპერაციით შემდგომი ცხოვრების განმავლობაში. ასევე სახეზე იყო ექიმის მხრიდან არასწორი მკურნალობის ფაქტიც.<sup>98</sup>

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს თუ როგორ გავლენას ახდენს სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანის დროს თითოეული დეტალი საკომპენსაციო ოდენობის განსაზღვრაზე. თუ რაოდენ საფუძვლიანად უნდა იქნეს განხილული და გაანალიზებული კონკრეტული საქმის თითოეული დეტალი სასამართლოს მიერ, რათა ასანაზღაურებელი თანხა ობიექტურად და სამართლიანად იქნეს დადგენილი.

## 15. სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ევროპის სხვა ქვეყნებში

ზოგადად მორალური ზიანის ანაზღაურება და ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებულ მორალურ ზიანს, ძირითადად ყველა წამყვან ქვეყანაში ერთნაირად ხდება. ფაქტობრივად ერთნაირია მორალური ზიანის ანაზღაურების ცნება, ნიშნები, მიზნები და ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლის ძირითადი კრიტერიუმებიც კი. თუმცა კონკრეტულ ქვეყნებში არის მცირე განსხვავებები დანარჩენებთან მიმართებით, ამასთან არის საბაზისო განსხვავებებიც, თუმცა საბოლოო ჯამში ამ განსხვავებებს მაინც მეტ-ნაკლებად ერთნაირ შედეგებამდე მივყავართ. კერძოდ, სხვადასხვა ქვეყნებში ძირითად განსხვავებებს ვხვდებით კანონმდებელსა და სასამართლოს მიერ გადანაწილებულ როლებში, მაგალითად, საფრანგეთის, ავსტრიისა და ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი შედარებით უფრო მოქნილია და სასამართლოს აქვს მეტი შესაძლებლობა თავის თავზე აიღოს კანონის დებულებების გამოყენება კონკრეტულ საქმეებზე. ამისგან განსხვავდება გერმანული კანონმდებლობა, რომელიც უფრო ხისტია და მიდრეკილია მკაცრი და დეტალური წესების განვითარებისკენ. ინგლისისა და აშშ-ს

<sup>97</sup> საარბრიუკენის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2013 წლის 28 აგვისტოს N1U182/12 გადაწყვეტილება.

<sup>98</sup> ნიუნბერგის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2011 წლის 28 ოქტომბრის N5U838/11 გადაწყვეტილება.



შემთხვევაში სურათი საერთოდ განსხვავებულია, ვინაიდან იქ მთლიანად სასამართლოს პრაქტიკაზე აღნიშნული საკითხი მინდობილი და მხოლოდ პრაქტიკიდან გამომდინარე მიიღება გადაწყვეტილებები.<sup>99</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპენსაციის განსაზღვრა ძალიან ფართო ცნებაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად ხდება, ასევე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეებასა და ბევრ სხვა გარემოებაზე, ამიტომაც ამ ჭრილში ყველაზე მეტი განსხვავების აღმოჩენაა შესაძლებელი. ქვემოთ განვიხილავ სხვადასხვა ქვეყნის განსხვავებულ მიდგომასა თუ პრაქტიკას, რომელიც მნიშვნელოვანია მორალური ზიანის ანაზღაურების ჭრილში.

### **15.1. ფრანგული სამართლის თავისებურებები მორალური ზიანის ანაზღაურების დროს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში**

ფრანგული სამართლის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მორალური ზიანის ანაზღაურების დროს კომპენსაციის გამოთვლის ასპექტში გახლავთ ის, რომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ სამართალდამრღვევი პირის ქმედების სერიოზულობას. შესაბამისად, რაც უფრო სერიოზულია ზიანის მომტანი ქმედება, მით მეტია ანაზღაურების დროს გათვალისწინებული თანხის ოდენობა. ამასვე ამბობს კოზიოლიც, - „რაც უფრო ძლიერი იქნება ზიანის მომტანი მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი, მით უფრო ყოვლისმომცველი იქნება კომპენსაცია“.<sup>100</sup> მიუხედავად კანონმდებლობაში შესაბამისი დანაწესის არ ქონისა, განსხვავებით შვეიცარიისა და ნიდერლანდებისა, პრაქტიკაში ზოგჯერ გამოიყენება კომპენსაციის შემცირება. ეს გულისხმობს იმას, რომ გამოჩინების შემთხვევებში, როდესაც ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით ზიანის მიმყენებლისათვის ზიანის სრული კომპენსაცია იქნება მჩაგვრელი ტვირთი, აღნიშნული სრული ოდენობა შეიძლება შემცირდეს. ეს შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ე.წ. სრული კომპენსაციის პრინციპს, თუმცა სამართლიანობის პრინციპთან იგი უფრო ახლოსაა.<sup>101</sup> საფრანგეთში სხეულის დაზიანების შეფასების მექანიზმი ეფუძნება Nomenclature Dintilhac-ს, რომელიც 2005 წელს შეიქმნა, სადაც ჩამოთვლილია ყველა ანაზღაურებადი ზიანი და მათი შეფასების მეთოდები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნომენკლატურა არ არის იურიდიულად სავალდებულო, სასამართლოები იყენებენ მას,

---

<sup>99</sup> Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective, 2015, p. 696.

<sup>100</sup> Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective, 2015, p. 89.

<sup>101</sup> Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective, 2015, p. 91.

რათა ობიექტურად იქნეს შეფასებული როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ზიანი და მისი ასანაზღაურებელი ოდენობა.<sup>102</sup>

**15.2. ინგლისური სამართლის კანონმდებლობის განსხვავებული ასპექტები და სასამართლოს მიერ მიღებული პრაქტიკა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში**

გერმანული და ფრანგული სამართალი ადგენს ზიანის დაყოფას ორ ძირითად ჯგუფად: მატერიალურ და არამატერიალურ ჯგუფებად. ეს დაყოფა ინგლისური სამართლისათვის უცხოა. ზოგიერთ შემთხვევაში ინგლისური სამართლისათვის მიღებულია, რომ პირმა შეიძლება განიცადოს არამატერიალური ზიანი, დისკომფორტი და ა.შ. თუმცა ეს ზიანი განიხილავს მატერიალურ ზიანზე მოქმედ წესებს და მოიცავს მცირე ნაწილებს არამატერიალური ზიანის შესახებ. ინგლისურ სამართალში სახელმძღვანელოებიც კი არ შეიცავენ ისეთ ქვეპუნქტს, სადაც არამატერიალური ზიანი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ცალკე კატეგორია.<sup>103</sup> მიუხედავად ამისა, განსხვავებით კონტინენტური სამართლებრივი სისტემებისა, ინგლისში დანერგილია სასამართლო პრაქტიკა და ამის მიხედვით ხდება არამატერიალური ზიანის ანაზღაურება.<sup>104</sup> ასევე არსებობს სპეციალური გაიდლაინები, რომლებსაც ეწოდება JC Guidelines, ეს არის 90 გვერდიანი სახელმძღვანელო, რომელიც იძლევა ინფორმაციას პრაქტიკულად ყველა სამედიცინო დაზიანებისათვის ასანაზღაურებელ ზოგად ოდენობას. მაგალითად: ხელის დაკარგვის შემთხვევაში ოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 110 880 ფუნტით. მძიმე პოსტტრამული აშლილობა - 48 400 – 81 400 და ა.შ. მათ ახლავს დაზიანების სიმძიმის აღწერა. რა თქმა უნდა ყოველ კონკრეტულ სიტუაციას შეიძლება არ ერგებოდეს ეს სახელმძღვანელო, თუმცა ძირითად შემთხვევები გაწერილია, რაც ამარტივებს ოდენობის განსაზღვრის პროცესს.<sup>105</sup>

<sup>102</sup> Nicholas J. Kearns, First report of the Personal Injuries Commission November 2017, p. 50.

<sup>103</sup> Zlatin Mitkov Zlatev, Approaches towards the concept of non-pecuniary losses deriving from breach of contract, London, 2019, p. 28-29.

<sup>104</sup> Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective, 2015, p. 696.

<sup>105</sup> Roger Halson, The Recovery of Damages for Non-pecuniary Loss in the United Kingdom; A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort, 2015, p. 9-10.

**15.3. რუმინეთში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები სხეულისა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ტიპის დაზიანებასთან დაკავშირებით განსაზღვრული კომპენსაციების ოდენობების შესახებ**

მორალური ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობის განსაზღვრად რუმინეთში ასევე ექცევა ყურადღება დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის სერიოზულობას, მის მიერ გამოწვეული ტკივილის ინტენსივობასა და რაც მთავარია გამოსაჯანმრთელებელი პერიოდის ვადას. ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ოდენობა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად იყო 1 000 000 ევრო, რომელიც სასამართლომ მიაკუთვნა 24 წლის ბიჭს, რომელიც ავტო საგზაო შემთხვევის შედეგად წაერთვა მოძრაობის უნარი. გერმანიისაგან განსხვავებული პრაქტიკაა ოჯახის წევრებისთვის საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული მორალური ტანჯვისათვის დაკისრებული კომპენსაციის ოდენობის კუთხით. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში უფრო მაღალია ოდენობა ვიდრე თავად დაზარალებულისათვის. მაგალითად სასამართლომ ოჯახისთვის, რომელმაც ავტო საგზაო შემთხვევის შედეგად დაკარგა შვილი, მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებელ ოდენობად განუსაზღვრა 70 000 ევრო, როდესაც ამავე ავტო საგზაო შემთხვევაში გადარჩენილ დაზარალებულს განუსაზღვრა 5 000 ევრო.<sup>106</sup>

**15.4. ნორვეგიაში მიღებული პრაქტიკა ასანაზღაურებელი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით**

ნორვეგიული სამართლის სისტემაში, დაშვებულია ზიანის ასანაზღაურებელი თანხის მოცულობის შემცირება კონკრეტულ შემთხვევებში, როგორც ეს ფრანგული სამართლის მიხედვითაა ზევით განხილული. ამასთან ერთად, ნორვეგიული სამართლის განმსხვავებელი ნიშანი არის ის, რომ კომპენსაცია უნდა გაიცეს ერთიანად. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, მოსამართლე უფლებამოსილია დააწესოს პერიოდულად გადასახდელი თანხა.<sup>107</sup>

<sup>106</sup> Patricia Piticas, Compensation of non-pecuniary losses for personal injury in legal systems based on judicial discretion with specific reference to traffic accidents, University of Amsterdam, 2016, p. 21-23.

<sup>107</sup> Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective, 2015, p. 155-156.

**15.5. კანადაში მორალური ზიანის ასანაზღაურებელი საკომპენსაციო მასქსიმალური თანხის ზედა ზღვარი ჯანმრთელობისა და სხეულის დაზიანების შემთხვევაში**

კანადაში მიღებული პრაქტიკაა სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის კომპენსაციის თანხის განსაზღვრული ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს 360 000 აშშ დოლარს. ეს პრაქტიკა დაადგინა კანადის უზენაესმა სასამართლომ 40 წლის წინ. აღნიშნული ზღვარი შესაძლოა იყოს კრიტიკის ობიექტი გამომდინარე იქიდან, რომ მორალური ზიანის აღქმა ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურია და შეუძლებელია მისი მოქცევა გარკვეულ ჩარჩოებში.<sup>108</sup> საინტერესოა ასევე In Trust ანაზღაურების ცნება კანადურ სამართალში, რაც გულისხმობს იმას, რომ დაზარალებულს აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მესამე მხარის მიერ ნებაყოფლობით შეთავაზებული მომსახურებისთვის. მაგალითისთვის, თუ დაზარალებულს ოჯახის წევრები ან ახლობლები ნებაყოფლობით ეხმარებიან მოვლაში, მკურნალობაში და ა.შ. ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დაზარალებულს იმ შემთხვევაშიც კი აქვს, როდესაც მას მესამე პირებისთვის დახმარების სანაცვლოდ თანხა არ გადაუხდია.<sup>109</sup>

კანადაში სხეულის ან/და ჯანმრთელობის ყველაზე მძიმე დაზიანების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის საკომპენსაციო თანხის ოდენობა განისაზღვრება 250 000-დან 332 000 დოლარამდე, იშვიათ შემთხვევებში ეს თანხა შეიძლება უფრო მეტიც იყოს, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე, თუმცა არც ერთ შემთხვევაში ეს თანხა არ სცდება 360 000 აშშ დოლარს.<sup>110</sup>

**15.6. სავალდებულო კომპენსაციის სისტემა ესპანეთში**

ესპანეთის კანონმდებლობაში გადატანილი იქნა 2014/104/EU დირექტივები, რაც გარკვეულ გარემოებებში ხელს უწყობს სასამართლოს ზიანის გამოთვლაში. აღსანიშნავია ერთი საინტერესო გადაწყვეტილება, ესპანური სასამართლოსი, რომელმაც 2019 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით დაადგინა შემდეგი: ვინაიდან შეუძლებელია იმის დამტკიცება, თუ ვისი ბრალეულობით მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომლის დროსაც ორივე მხარე დაზიანდა, სასამართლომ ორივე მხარეს

<sup>108</sup> Phil Lord, McGill Journal of Law and Health, 17.03.2020.

<sup>109</sup> Diana L. Dorey & Brent L. Rentiers, The Calculation of Damages for Bodily Injury Claims 01.07.2014.

<sup>110</sup> Philip Byun, Compendium of Damages Awarded in Personal Injury Actions Across Ontario, 1999-2020.

დააკისრა ერთმანეთისათვის ზიანის ანაზღაურება.<sup>111</sup> საგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა ან დაშავებულთათვის სავალდებულო კომპენსაციის სისტემა დაინერგა 1995 წელს ესპანეთში, რომელსაც ჰქვია Baremo. აღნიშნული სისტემა არეგულირებს კომპენსაციის გადახდას როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ზიანის შემთხვევაში.<sup>112</sup> ამჟამინდელი მონაცემებით, სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული კომპენსაციის მაქსიმალური ოდენობა 1 500 000 ევროს შეადგენს.<sup>113</sup>

### 15.7. კანონის ცვლილება ირლანდიაში სარჩოს მოთხოვნის უფლების შესახებ

საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ირლანდიაში 2018 წლის ოქტომბრამდე ჯანმრთელობის ნებისმიერი დაზიანებისათვის კომპენსაციის გადახდა ხდებოდა ერთიანი თანხით და გამორიცხული იყო სარჩოს მოთხოვნის უფლება. თუმცა ამის შემდგომ შედარებით გამოსწორდა ამ კუთხით სიტუაცია და მძიმე დაზიანების შემთხვევაში დაზარალებულ პირებს სასამართლო აძლევს სარჩოს მოთხოვნის უფლებას.<sup>114</sup>

### 15.8. შვედეთის სრულიად განსხვავებული მიდგომა სხეულის და ჯანმრთელობისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხში

შვედეთში დაზარალებულის სრული კომპენსაცია გარანტირებულია. შვედური სისტემისათვის ერთ-ერთი მახასიათებელია ის, რომ საჩივრები ხშირად წყდება სასამართლოს გარეშე და მხოლოდ რამდენიმე მათგანი მიდის სასამართლომდე. ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში უმეტესწილად ნებაყოფლობით წყდება საკონსულტაციო საბჭოს მიერ მიცემული მოსაზრებების მიხედვით. არსებობს საგზაო შემთხვევების საბჭო, პირადი დაზიანებების საბჭო და სხვა. ეს საბჭოები ადგენს პირადი დაზიანების კომპენსაციის სტანდარტებს, ხოლო უზენაესი

<sup>111</sup> Alex Ferreres Comella and Cristina Ayo Uria Menendez, *The Global Damages Review: Spain*, 17.10.2021.

<sup>112</sup> Antonio Trillo Ruiz, *Bodily Injury Landscape Europe Spain*, 2018, p. 2-3.

<sup>113</sup> *Valuation System for Bodily Injury in Spain*, p. 2.

<sup>114</sup> Shane F. Whelan, Maeve Hally, *The Economic and Social Review, Compensation for Wrongful Injury in Ireland: Principles, Practice and Cost to the State*, Autumn 2020, p. 429.

სასამართლო განავითარებს სამართლებრივ პრაქტიკას უფრო მნიშვნელოვან საკითხებში.<sup>115</sup> შვედეთში არამატერიალური ზარალის კომპენსაცია რამდენიმე გამონაკლისის გარდა, განისაზღვრება სტანდარტიზებული ცხრილების მიხედვით. ცხრილები ყურადღებას ამახვილებს როგორც ტრავმის სიმძიმეზე, ასევე აღდგენის ხანგრძლივობაზე. კომპენსაციის გაანგარიშების ეს მეთოდი დამტკიცებულია შვედეთის უზენაესი სასამართლოს მიერ.<sup>116</sup>

## 16. ნაშრომის დასაწყისში მოცემული პრობლემის პარალელები გერმანულ სასამართლო პრაქტიკასთან

ნაშრომის დასაწყისში მოვიყვანე ორი მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან, რომელთაც გააჩნიათ რამდენიმე საერთო მახასიათებელი, კერძოდ - ორივე შემთხვევაში ზიანი მიადგა დაზარალებული პირის სხეულს ან/და ჯანმრთელობას, ორივე შემთხვევაში მოპასუხე მხარე იყო სამედიცინო დაწესებულება. ორივე შემთხვევაში დაზარალებული მხარის მიერ მოთხოვნილ იქნა როგორც მატერიალური, ისე - არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურება. თუმცა ამ ორ გადაწყვეტილებაში განსხვავებაც ძალიან დიდი იყო რაც შეეხება იმ თანხების ოდენობებს, რაც სასამართლომ მიანიჭა თითოეულ მათგანს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. ქვემოთ მოვიყვან მაგალითებს გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებიც, ვთვლი რომ, მაქსიმალურად არის მიახლოებული ამ ორ გადაწყვეტილებასთან.

### 16.1. მაგალითები გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან

- მშობიარობის დროს ექიმის შეცდომას მოჰყვა ბავშვის სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება. ზიანის ანაზღაურებისათვის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღებით განიხილა შემდეგი გარემოებები: დაზარალებულს აწუხებს განვითარების ზოგადი დარღვევა, ასევე ფსიქიკური განვითარების სფეროში. ექსპერტის შეფასებით დაზარალებული პირი საუკეთესო შემთხვევაში შეძლებს შესაბამისი მხარდაჭერის არსებობისას მიაღწიოს 7-დან 8 წლამდე ბავშვის ინტელექტის დონეს. ეს დარღვევა გამოიხატება ასევე იმაში, რომ

<sup>115</sup> Consultation Paper on Periodical Payments for Future Pecuniary Loss in Personal Injury Cases, Executive Summary, 2018, p.14.

<sup>116</sup> Nicholas J. Kearns, Second and final report of the Personal Injuries Commission, 2018, p. 57.

დაზარალებულ პირს უჭირს გაიგოს საუბარი და მისი საუბრის უნარიც შემცირებულია. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს შეუძლია მოძრაობა, სიარული და ველოსიპედის ტარებაც კი, იგი უფრო მალე იღლება, ვიდრე სხვა ბავშვები. ექსპერტის შეფასებით სამომავლოდ დაზარალებულს ექნება ფსიქიკის დეფიციტი, რაც გამოიწვევს მასში განსაკუთრებულ ტანჯვას. დაზარალებულს აღენიშნება ეპილევსიაც, რომელიც შესაძლებელია გაუარესდეს. ექსპერტის დასკვნის მიხედვით, დაზარალებული მარტო ცხოვრებას ვერასოდეს შეძლებს.

ამასთან ერთად, იკვეთება ექიმის ბრალეულობა, რომლის მიერ საკეისრო კვეთისას დაშვებულმა შეცდომამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის ხელყოფა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სასამართლომ დაზარალებულს მიანიჭა 250 000 ევრო მატერიალური და არამატერიალური (მორალური) ზიანის ასანაზღაურებლად.<sup>117</sup>

- დაზარალებულმა მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოპასუხისგან, რომლისგანაც სქესობრივი კავშირის დროს გადაედო „აივ“ ინფექცია. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოპასუხემ თავადაც არ იცოდა რომ მას ჰქონდა აღნიშნული ინფექცია. დაზარალებულის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუარესდა დაინფიცირების შემდგომ და განიცდიდა არაერთი სახის დისკომფორტსა თუ ტკივილებს. სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ დაზარალებულისთვის მიენიჭებინა 76 000 ევროს ოდენობის კომპენსაცია მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ 5 000 ევრო მოპასუხეს უკვე ჰქონდა მოსარჩელისათვის გადახდილი, სასამართლომ ეს თანხა გაუქვითა და დაავალდებულა მოპასუხე რომ მას გადაეხადა 71 000 ევრო.
- დაზარალებულმა მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება სამედიცინო დაწესებულებისაგან. მას სტომატოლოგიური მომსახურება არასწორად ჩაუტარდა და ამის შედეგად დაკარგა ერთი კბილი, ასევე საკმაოდ დიდი ხნით (დაახლოებით 1 წელი) დაეკარგა ენაზე მგრძნობელობა და აღენიშნებოდა ენის დაბუჟება, რომლის გამომწვევი მიზეზიც არის ნერვის დაზიანება. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაზარალებულს მიანიჭა 4 000 ევრო მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის.<sup>118</sup>

<sup>117</sup> ჰამის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2017 წლის 4 აპრილის N 26 U 88/16 გადაწყვეტილება.

<sup>118</sup> ჰამის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის N 26 U 199/15 გადაწყვეტილება.

რა თქმა უნდა გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი ეს მაგალითები იდენტური არ არის იმ ორი გადაწყვეტილებისა, რომლებიც ნაშრომის დასაწყისში იქნა წარმოდგენილი, თუმცა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან გერმანული სასამართლოების მიდგომაზე ანალოგიურ შემთხვევებზე. მეტი სიცხადისთვის მინდა პარალელები გავავლო საქართველოსა გერმანული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

## **16.2. საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილების შედარება გერმანიის სასამართლო გადაწყვეტილებასთან და მათი შესაბამისობა**

პირველ რიგში განვიხილოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება, რომელიც ნაშრომის დასაწყისშია მოცემული, როდესაც დაზარალებულმა სტომატოლოგიური მომსახურების დროს დაკარგა სამი კბილი და სასამართლომ ჯამში 5 000 ლარით განუსაზღვრა როგორც მატერიალური, ისე - მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხა. თუ გავავლებთ პარალელს გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან, სადაც დაზარალებულმა ერთი კბილი დაკარგა და ასევე აღენიშნებოდა ნერვის ხანგრძლივი დაზიანება, შეიძლება ითქვას რომ დაახლოებით ერთნაირ დაზიანებებთან გვაქვს საქმე. საერთო ჯამში შესაძლოა მცირედით აჭარბებდეს სამი კბილის დაკარგვისგან დამდგარი ზიანი, თუმცა მეტნაკლებად დაზიანება თანაბრად შეიძლება იქნეს აღქმული. ვინაიდან თანხის გამოთვლისას სხვა უამრავ გარემოებასთან ერთად გასათვალისწინებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც, ჩვენი კვლევის პროცესში აღნიშნული ვალუტები, ევრო - გერმანიის და ლარი საქართველოს შემთხვევაში შეგვიძლია მივიჩნიოთ თანაბარი კურსის მქონე ვალუტებად და ვუწოდოთ მათ ეროვნული ვალუტა. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ანალოგიურ შემთხვევებში ორივე სასამართლომ თითქმის ანალოგიური ოდენობებით მიანიჭეს დაზარალებულებს კომპენსაცია. ამ შემთხვევაში საქართველოს სასამართლოს მიდგომა და კომპენსაციის ოდენობის გამოთვლის მექანიზმი დიდ წილად ემთხვევა გერმანული სასამართლოსას.

ხოლო რაც შეეხება მეორე გადაწყვეტილებას, ეს გაცილებით ღრმად უნდა განვიხილოთ. დედისა და შვილის „აივ“ ვირუსით დაინფიცირებისათვის დაზარალებულ მხარეს სასამართლომ მიანიჭა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება 20 000 ლარის ოდენობით. ვინაიდან ამ თანხიდან სასამართლოს არ განუსაზღვრავს დედის და შვილის წილი ინდივიდუალურად, ასეთ შემთხვევებში მიღებული პრაქტიკაა, რომ უნდა გაიყოს ეს ერთობლივი თანხა დაზარალებულთა ოდენობაზე, რათა დადგინდეს ინდივიდუალურად თითოეული



დაზარალებულისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა.<sup>119</sup> შესაბამისად გამოდის, რომ თითოეულისათვის სასამართლომ განსაზღვრა 10 000 ლარი. ამ თანხაში შედის როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობა. გამომდინარე იქიდან, რომ მატერიალური ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობა ყოველთვის მეტია ხოლმე ვიდრე მორალური ზიანისა, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ 6 000 ლარი არის მატერიალური, ხოლო 4 000 ლარი არის მორალური ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობა თითოეულისათვის. საკითხისთვის უმჯობესია განვიხილოთ ახალდაბადებული ბავშვის შემთხვევაში რა გარემოებებისთვის უნდა გაემახვილებინა სასამართლოს ყურადღება ოდენობის განსაზღვრის მიზნით.

### **16.3. საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი ნაშრომში განხილული კომპენსაციის გამოთვლის მეთოდების მიხედვით**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის მრავალი გარემოება რამაც შეიძლება გაზარდოს მორალური ზიანისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, უმჯობესია განვიხილოთ თითოეული იმ გარემოებათაგანი, რომლებიც მოახდენდა გავლენას თანხის ზრდაზე ამ კონკრეტულ შემთხვევაში:

ჯანმრთელობის მოშლის პერიოდი (ხანგრძლივობა) - „აივ“ ინფექცია ჯერ-ჯერობით ისევ რჩება განუკურნებელ დაავადებად,<sup>120</sup> შესაბამისად ჯანმრთელობის მოშლის პერიოდი ამ შემთხვევაში მაქსიმალური გვაქვს, დაბადებიდან - სიცოცხლის ბოლომდე.

რამდენად უქმნის საფრთხეს დაზიანება დაზარალებულის სიცოცხლეს - აღნიშნული ინფექცია სიცოცხლისთვის სახიფათოა, ვინაიდან მან შეიძლება გამოიწვიოს AIDS-ის განვითარება<sup>121</sup> და საკმაოდ ხშირია შემთხვევა ამ მიზეზით ადამიანების გარდაცვალების, კერძოდ - 2004 წელს მსოფლიო მასშტაბით დაახლოებით 1.9 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა. 2010 წელს - 1.3 მილიონი, ხოლო 2020 წელს - 680 000.<sup>122</sup>

<sup>119</sup> Measuring Violations of Human Rights, p. 25.

<sup>120</sup> World Health Organization, 30.11.2021. ონლაინ წყარო <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/hiv-aids>

<sup>121</sup> Mary Ellen Ellis, HIV vs. AIDS: What's the Difference? 13.01.2014 ონლაინ წყარო: <https://www.healthline.com/health/hiv-aids/hiv-vs-aids>

<sup>122</sup> UNAIDS <https://www.unaids.org/en/resources/fact-sheet> ონლაინ წყარო.

დაზიანების აღმოფხვრისათვის საჭირო მკურნალობის პერიოდი - ვინაიდან უკურნებელ დაავადებასთან გვაქვს საქმე, ამ შემთხვევაშიც მაქსიმალური ვადა შეიძლება იქნეს განხილული.

სამართალდარღვევის სიმძიმე - სამართალდარღვევა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პაციენტს გადაუსხეს სისხლი მისი ხარისხის შემოწმების გარეშე. აღნიშნულს არეგულირებს კანონი „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“, რომელიც შეიცავს დებულებებს სისხლისა და სისხლის კომპონენტების ხარისხის შესახებ.<sup>123</sup> ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უხემ გაუფრთხილებლობასთან, რაც ასევე არის საკომპენსაციო მოცულობის გაზრდის ერთ-ერთი გარემოება. სამართალდარღვევამ გამოიწვია სერიოზული შედეგები, ვინაიდან „აივ“ ვირუსით დაინფიცირებული სისხლი ჯამში 19 ადამიანს გადაესხა, აქედან მხოლოდ 10-ის ვინაობა იქნა დადგენილი რომელთაგან 4 უკვე გარდაცვლილი იყო. ეს გარემოებებიც ასევე განაპირობებენ მოცულობის გაზრდას.

ზიანის მიმყენებელი პირის გადახდისუნარიანობა - გამომდინარე იქიდან, რომ მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ეკისრება დამსაქმებელს<sup>124</sup>, უნდა ვივარაუდოთ რომ ზიანის მიმყენებელი პირი ამ შემთხვევაში გადახდისუნარიანია.

ფსიქოლოგიური დარღვევები - შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდ ბავშვს ექნება ფსიქოლოგიური დარღვევები როცა იგი გააცნობიერებს რომ უკურნებელი სენით არის დაავადებული.

ასაკი - ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი გარემოება რაც ზრდის კომპენსაციის მოცულობას. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, რომლებიც ეხებოდა ბარძაყის სახსრის დაზიანებას, ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პირის ასაკს. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი მაგალითებიდან 1 წლის ბავშვის დაზიანება არ იყო ყველაზე მძიმე, მას ყველაზე დიდი ოდენობის საკომპენსაციო თანხა მიაკუთვნეს.

---

<sup>123</sup> ასლანიშვილი კ., ჯიბუტი მ., იმედაშვილი ა., ჯავაშვილი გ., კიკნაძე ნ., მეიშვილი ზ., მირზიკაშვილი ნ., ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის, საქართველო, გვ. 191.

<sup>124</sup> დავით სუხიტაშვილი, თეა სუხიტაშვილი, პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის, მართლმსაჯულება და კანონი N2 (37), 2013 წ. გვ. 20.

#### 16.4. საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილების შედარება გერმანიის სასამართლო გადაწყვეტილებასთან და მათი ერთმანეთთან შეუსაბამობა

ამ გარემოებებთან ერთად, ასევე პარალელი უნდა გავავლოთ გერმანიის სასამართლოების ზემოთ მოყვანილ გადაწყვეტილებებთან, როდესაც ზრდასრულ ადამიანს, რომელიც „აივ“ ინფექციით დაინფიცირდა სასამართლომ განუსაზღვრა 76 000 ევრო. ამ კონკრეტული საქმისაგან განსხვავებით ძალიან ბევრი გარემოება არსებობს, რომლებიც ზევით ჩამოვთვალებ, რაც ერთიორად ზრდის საკომპენსაციო თანხის მოცულობას.

მეორე შემთხვევაში - ახალდაბადებული ბავშვს, რომელიც ექიმის შეცდომის გამო დამოუკიდებლად ვეღარ შეძლებდა ცხოვრებას და 7-8 წლის ასაკის ბავშვის განვითარების დონე ექნებოდა, სასამართლომ მიაკუთვნა 250 000 ევრო. ამ შემთხვევაში ჯანმრთელობის ძალიან მძიმე დაზიანებასთან გვაქვს საქმე, თუმცა ჩვენი შემთხვევისაგან განსხვავებით, დაზარალებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და შეიძლება ეს გარემოება იქნეს განხილული, როგორც საკომპენსაციო თანხის მოცულობის გაზრდის მიზეზი ამ კონკრეტულ მაგალითთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს, ზემოთ აღნიშნულ გარემოებებთან და გერმანული სასამართლოების მიერ განსაზღვრულ ამ ოდენობებთან შედარებით 10 000 ლარის ოდენობის კომპენსაცია ახალდაბადებული ბავშვისთვის, რომელიც დაავადდა „აივ“ ინფექციით ზედმეტად მცირეა. საწინააღმდეგო აზრის მქონე პირებს შეიძლება ჰქონდეთ მოსაზრება, რომ ქვეყნებს შორის არსებული, თუნდაც ეკონომიკური სხვაობა იყოს განმაპირობებელი ასეთი განსხვავებული პრაქტიკისა. თუმცა ამის საწინააღმდეგოდ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ პროპორციებზე, რაც არის გერმანული სასამართლოების მხრიდან ჯანმრთელობის ორი კონკრეტული დაზიანების შემთხვევაში დაწესებული ასანაზღაურებელ მოცულობაზე. კერძოდ, კბილის დაკარგვა 4 000 ევროდ არის შეფასებული, ხოლო „აივ“ ინფექციით დაინფიცირება - 76 000 ევროდ, ესეც იმ შემთხვევაში, როდესაც ასანაზღაურებელი თანხის მოცულობის გაზრდისათვის ბევრი გარემოება არ არსებობდა. ბავშვისათვის მძიმე დაზიანებების შემთხვევაში, სადაც მრავალი გარემოება იყო მოცულობის გაზრდისათვის, სასამართლომ 250 000 ევრო დააწესა. ხოლო საქართველოში, 3 კბილის დაკარგვით გამოწვეული ზიანი სასამართლოს მიერ შეფასებული იქნა 5 000 ლარით და მეორე მხრივ, 10 000 ლარად იქნა შეფასებული ზიანის ოდენობა, როდესაც ახალდაბადებული ბავშვი უკუზრუნებელი ინფექციით დაავადდა და არსებობდა უამრავი გარემოება კომპენსაციის გაზრდისათვის. ამ თანხების პროპორცია ჯანმრთელობისადმი ზიანის მიყენების სერიოზულობასთან შედარებით ძალიან განსხვავებულია გერმანული სასამართლოს მიერ დადგენილი პროპორციისაგან.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფის შემთხვევაში მატერიალური და არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმებს. მატერიალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში მარტივია საკომპენსაციო ოდენობის განსაზღვრა, ვინაიდან არსებობს შესაბამისი კვლევები და ექსპერტიზა რომელთა მეშვეობითაც დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის სერიოზულობის და მისი გამოსწორების ხარჯების განსაზღვრა ხდება.

ხოლო რაც შეეხება მორალური ზიანის და მისი მოცულობის განსაზღვრას, საქართველოს კანონმდებლობა გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს და ადგენს ჩამონათვალს იმ კრიტერიუმებისა, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა ეს ძალიან მცირეა ისეთ ფართო და რთულ საკითხთან შედარებით როგორც მორალური ზიანის ანაზღაურებაა, ვინაიდან სახეზე გვაქვს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც არ არის ერთგვაროვანი და ხანდახან არაობიექტურად კია, რაც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად გამოჩნდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა თანდათან იცვლება და უფრო მეტად ემსგავსება ევროპულს. ამის არგუმენტად შეგვიძლია მოვიყვანოთ ამავე ნაშრომში განხილული საკითხი, რომელიც ეხება დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ახლობელი ადამიანების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა სწორ გზას ადგას.

გამომდინარე იქიდან, რომ სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება რთული და ამასთანავე ძალიან ფართო საკითხია, სასამართლო უნდა ეცადოს შექმნას საკუთარი პრაქტიკა, რომელიც საწყის ეტაპზე ზოგიერთ საკითხში დაეფუძნება ევროპული სასამართლოების გამოცდილებას და იქნება ნამდვილად გონივრული, სამართლიანი და ობიექტური. როდესაც რამდენიმე წლიანი სწორი და ზუსტი პრაქტიკა იქნება დანერგილი, შემდგომ უკვე შესაძლებელი იქნება გერმანული „Schmerzensgeld tabellen“-ის, ინგლისური JC Guidelines-ის და სხვათა მაგალითზე საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით ამდაგვარი ცხრილების გაკეთებაც, რაც გაუადვილებს სასამართლოს ახალ გადაწყვეტილებებზე ოდენობების მეტ-ნაკლებად ზუსტად განსაზღვრას. ამასთან, შესაძლებელია ესპანეთის მაგალითზე, შეიქმნას Baremo-ს ტიპის კონკრეტული სამართალდარღვევის ჯგუფები, მაგალითად ავტო-საგზაო შემთხვევებზე, სამედიცინო შეცდომების შემთხვევებზე და ა.შ. საკითხის ამგვარი კონკრეტიზაცია გამოიწვევს იმას, რომ სასამართლოსთვის კონკრეტული შემთხვევა უფრო ნათელი და მარტივად გადასაწყვეტი იქნება.

განვითარების ბოლო საფეხური კი შვედეთის მაგალითი იქნება, სადაც იარსებებს საბჭოები, რომლებიც დაადგენენ კონკრეტულ შემთხვევაზე კომპენსაციის ოდენობას. სასამართლო კი დაკავებული იქნება მნიშვნელოვანი შემთხვევების განხილვით და პრაქტიკის უფრო მეტად დახვეწით. მართალია, ამის მიღწევა ძალიან რთული იქნება, ვინაიდან ჯერ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა საჭირო ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, თუმცა ნამდვილად შეინიშნება საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები უკეთესობისკენ, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ლიტერატურა

- ბ.ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001წ.
- სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 2015 წ.
- მიხეილ ბიჭია, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, თბილისი, 2017 წ.
- ლ. დოღონაძე, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი თეუსუ 2 (10), მთავარი რედაქტორი ა. ჩუთლაშვილი, თბილისი, 2010 წ.
- გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009 წ.
- ს. ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999 წ.
- მართლმსაჯულება და კანონი N4 (68)'20, 2020 წ.
- ქეთევან ქოჩაშვილი, სამართლის ჟურნალი N1, 2009 წ.
- მიხეილ ბიჭია, სამართალი და მსოფლიო N4, 2016 წ.
- ნინო ქათამაძე, სამართალი და მსოფლიო, #9, 2018 წ.
- იან კროპკოველი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014 წ.
- ოთარ მაჭარაშვილი, საერთაშორისო სამართალი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, 2000 წ.
- მიხეილ ბიჭია, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2014 წ.
- ნინო ბერიძე, შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2020
- მაისურაძე მ., ჩოგაძე გ., სახელმეკრულებო ურთიერთობები და მორალური ზიანი, წიგნში: რთული შემთხვევები, ტ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018 წ.
- ნინო დოლიძე, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2016 წ.
- გიორგი გ. თუმანიშვილი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012 წ.

მიხეილ ბიჭია, სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ.

ნინო ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2011 წ.

ნათია ტარტარაშვილი, სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, სამართალი და მსოფლიო, N13, 2019 წ.

დავით სუხიტაშვილი, თეა სუხიტაშვილი, პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის, მართლმსაჯულება და კანონი N2 (37), 2013 წ.

ასლანიშვილი კ., ჯიბუტი მ., იმედაშვილი ა., ჯავაშვილი გ., კიკნაძე ნ., მეიშვილი ზ., მირზიკაშვილი ნ., ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის, საქართველო (2012-2013 წ.)

Basil Markesinis, Michael Coester, Guido Alpa and Augustus Ullstein, Compensation for Personal injury in English, German and Italian Law: A comparative Outline, Cambridge U.K. University press, 2005

InDret, The Reform of German Tort Law, Ulrich Magnus, April 2003

Szilvia Altwicker-Hamori/Tilmann Altwicker/Anne Peters, Measuring Violations of Human Rights

Justice Arden DBE, Chairman, Andrew Burrows, Diana Faber, Charles Harpum, Stephen Silber QC, The Law Commission Consultation Paper No 140, Damages for Personal Injury: Non-Pecuniary Loss, 1995

Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective, 2015

The Law Commission, Law Com No 257. Damages for Personal Injury: Non-pecuniary Loss

Siewert D. Lindenbergh and Peter P.M. van Kippersluis, Rotterdam Institute of Private Law Accepted Paper Series, Non pecuniary losses

Basil S. Markesinis, Hannes Unberath, The German Law of Torts, A Comparative Treatise, fourth edition, Entirely Revised and Updated, 2002

Fleming James Jr. Damages in Accident Cases, Cornell Law Review, 1956

Compensation of Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, Acta Universitatis Danubius, Vol. 13, no. 3/2017

Consultation Paper on Periodical Payments for Future Pecuniary Loss in Personal Injury Cases, Executive Summary, 20 Consultation Paper on Periodical Payments for Future Pecuniary Loss in Personal Injury Cases, Executive Summary, 2018.

Phil Lord, McGill Journal of Law and Health, 17.03.2020.

Shane F. Whelan, Maeve Hally, The Economic and Social Review, Compensation for Wrongful Injury in Ireland: Principles, Practice and Cost to the State, Autumn 2020

Journal of Civil Law Studies, Developments in personal Injury law in Poland, 10.05.2015

BGH 14 January 1986, 1538.

Nicholas J. Kearns, Second and final report of the Personal Injuries Commission, 2018.

Alex Ferreres Comella and Cristina Ayo Uria Menendez, The Global Damages Review: Spain, 17.10.2021.

Principles of Tort Law, fourth edition, 2000

Stathis Banakas, Non-pecuniary Loss in Personal Injury: Topography Architecture and Nomenclature in the European Landscape, 2016

Philip Byun, Compendium of Damages Awarded in Personal Injury Actions Across Ontario, 1999-2020.

Antonio Trillo Ruiz, Bodily Injury Landscape Europe Spain, 2018

Edwin B. Parker Umpire, Reports of International Arbitral Awards, United Nations Copyright , 2006

Diana L. Dorey & Brent L. Rentiers, The Calculation of Damages for Bodily Injury Claims 01.07.2014.

Utrecht Law Review, Volume 3, Issue 2, (December) 2007

Patricia Piticas, Compensation of non-pecuniary losses for personal injury in legal systems based on judicial discretion with specific reference to traffic accidents, University of Amsterdam, 2016

Nicholas J. Kearns, First report of the Personal Injuries Commission November 2017.

Basil Markesinis, Michael Coester, Guido Alpa and Augustus Ullstein, Compensation for Personal injury in English, German and Italian Law: A comparative Outline, Cambridge U.K. University press, 2005

Janno Lahe, Irene Kull, International Comparative Jurisprudence, 2016



Roger Halson, The Recovery of Damages for Non-pecuniary Loss in the United Kingdom; A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort, 2015

Valuation System for Bodily Injury in Spain.

Zlatin Mitkov Zlatev, Approaches towards the concept of non-pecuniary losses deriving from breach of contract, London, 2019

World Health Organization, 30.11.2021. ონლაინ წყარო: <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/hiv-aids>

Mary Ellen Ellis, HIV vs. AIDS: What`s the Difference? 13.01.2014 ონლაინ წყარო: <https://www.healthline.com/health/hiv-aids/hiv-vs-aids>

UNAIDS ონლაინ წყარო: <https://www.unaids.org/en/resources/fact-sheet>

## სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის N ას-714-677-2013 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის N 296-624-07 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 10 ივლისის N ას-660-660-2018 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის N ას-1174-1319-08 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2002 წლის 25 ივნისის N 3კ-337-02 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2001 წლის 26 დეკემბრის N 3კ-924-01 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 30 ივლისის N 3კ-423-03 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის №ს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის №ს-327-309 (2კ-07) გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის N ას-1433-1531-04 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის Nას-979-940-2014 გადაწყვეტილება.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის №ას-1800-2019 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის Nას-789-746-2015 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 5 დეკემბრის N 3კ/754-01 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის N ას-593-568-2016 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის Nას-14-1466-05 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის Nას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის N3ბ/2146-19 გადაწყვეტილება.

Varnava and Others v. Turkey [GC] – 16064/90, 16065/90, 16066/90 et al, 18.09.2009.

ბრანდერბურგის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N12U124/20 გადაწყვეტილება.

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 1994 წლის 22 სექტემბრის N1U57/93 გადაწყვეტილება.

ბრანდენბურგის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2003 წლის 19 თებერვლის N7U135/02 გადაწყვეტილება.

ნიუნბერგის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2009 წლის 6 მარტის N5U1630/07 გადაწყვეტილება.

კიოლნის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 1981 წლის 14 იანვრის N16U63/80 გადაწყვეტილება.

საარბრიუკენის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2013 წლის 28 აგვისტოს N1U182/12 გადაწყვეტილება.

ნიუნბერგის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2011 წლის 28 ოქტომბრის N5U838/11 გადაწყვეტილება.

ჰამის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2017 წლის 4 აპრილის N 26 U 88/16 გადაწყვეტილება.

ჰამის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის N 26 U 199/15 გადაწყვეტილება.